

ქართული მემკვიდრეობა



საქართველოს
მემკვიდრეობის
კვლევის
გაზეთი
№3 (306)

1-31 მაისი
2024

ფასი 150 ლარი

გაეროს
თავი პრესა

პროექტი

საქართველოს მემკვიდრეობითი კავშირის ნესღები

I. ზოგადი დებულებები

1.1. კავშირის სრული სახელწოდებაა „საქართველოს მემკვიდრეობის შემოქმედებითი კავშირი“ (შემდეგში კავშირი). იგი წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადით შექმნილ საჯარო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია და თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „შემოქმედებითი მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე ნესდების შესაბამისად. კავშირის სამართლებრივი ფორმაა „შემოქმედებითი კავშირი“.

1.2. კავშირი წარმოადგენს 1917 წელს მწერალთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის ტრადიციების გამგრძელებელს, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა იუსტიციის სამინისტროში 1992 წლის 24 აპრილს, შემდეგ მთავრობის რაიონის სასამართლოში 1998 წლის 29 დეკემბერს, იუსტიციის სამინისტროში 2001 წლის 5 იანვარს და 2004 წლის 8 აპრილს (№391 ბრძ. და 2014 წლის 1 ივლისს №454) იურიდიული პირის უფლება-მოწოდებების წესით.

1.3. კავშირის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

1.4. კავშირის აქვს თავისი ბეჭედი, სიმბოლიკა, ანგარიში ბანკში, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაზე და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები;

1.5. კავშირის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მანაშაძის ქ. №13, მწერალთა სასახლე.

II. კავშირის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

2.1. კავშირი არის მწერალთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შექმნილი თავისუფალი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართული მემკვიდრეობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშეწყობის პირობების შექმნა, მწერალთა პროფესიული ინტერესების, აგრეთვე ეროვნული ღირებულებების დაცვა, ქართული სამწერლო მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნება.

2.2. ამ მიზნით: კავშირი მონაწილეობს საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო ფირმებისა და ცალკე იურიდიული პირების მიერ ლიტერატურული და ხელოვნების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების, კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას რეკომენდაციების მომზადებაში;

2.3. კავშირი აქტიური შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის მართავს ლიტერატურულ ღონისძიებებს, წიგნების განხ-

ილვას, დისკუსიებს, კონფერენციებს, სემინარებს, აღნიშნავს მწერალთა იუბილევებს, მონაწილეობს კლასიკოსებთან დაკავშირებული სახალხო დღესასწაულების ორგანიზებასა და წარმართვაში, სხვადასხვა თაობის მწერალთა შემოქმედებითი მიღწევების პოპულარიზაციისათვის;

2.4. ზრუნავს მწერალთა ახალი თაობის პროფესიული დასაცავისა და სამწერლო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის;

2.5. იღწვის მწერალთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ზრუნავს მათი პროფესიული ინტერესების, საავტორო უფლებების დაცვისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ;

2.6. ესწრაფვის საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობების გაფართოებასა და განვითარებას, ხელს უწყობს საზღვარგარეთელი მწერლების საუკეთესო ნიმუშების თარგმნას ქართულ ენაზე და პირიქით;

2.7. მონაწილეობს მწერლობასთან და კულტურასთან დაკავშირებული მოკლეთუ გრძელვადიანი სახელმწიფო თუ საერთაშორისო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში;

2.8. ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, კანონის შესაბამისად აარსებს გამოცემლობებს, ჟურნალებს, ალმანახებს, გაზეთებს, ფონდებს, სხვა დაწესებულებებს, აჯილდოებს და ანიჭებს ლიტერატურულ პრემიებს. მონაწილეობს სამეცნიერო ინსტიტუტებთან ერთად ანთოლოგიების, ენციკლოპედიების და სხვა სასკოლო სახელმძღვანელოების და საცნობარო ლიტერატურის შედგენა-გამოცემაში;

2.9. კავშირის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირებიდან, სახელმწიფო თუ სხვა კომერციული სტრუქტურებიდან, სხვა კანონიერი წყაროებიდან მოზიდული სახსრები მიმართული იქნება კავშირის საწესდებო მიზნების განახორციელებლად.

2.10. კავშირი კულტურის განვითარების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინების, შემოქმედებითი ინიციატივის ხელშეწყობის მიზნით, უფლებამოსილია განახორციელოს ყველა სხვა სახის საქმიანობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული არ არის. საქმიანობის იმ სახეს, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, კავშირი განახორციელებს მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემთხვევაში.

2.11. კავშირის შეუძლია განახორციელოს კანონით დადგენილი წესით დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომლის შედეგად მიღებული ამონაგები უნდა მოხმარდეს კავშირის მიზნებს და დაუშვებელია მისი გადანაწილება კავშირის წევრებზე დივიდენდების სახით.

III. კავშირის არსებობისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

3.1. დემოკრატიული მმართველობა, კავშირის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობა, საჯაროობა და კანონიერება;

3.2. ეროვნულ და საკაცობრიო შეხედულებათა ერთიანობა, ნებაყოფლობითობა.

3.3. კავშირი საკუთარ და სხვა ბეჭდვით ორგანოებში აქვეყნებს მის მიერ მიღებულ ძირითად დოკუმენტებს, ინფორმაციას მწერალთა კავშირის წევრთა რაოდენობის შესახებ, ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობას, მონაცემებს საფინანსო წყაროებისა და ხარჯების შესახებ.

IV. კავშირის წევრად მიღება და კავშირის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

4.1. კავშირის წევრად მიღებას ახორციელებს მიმღები კომისია სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.2. კავშირის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც აღიარებს კავშირის წესდებსა და განცხადებით მიმართავს კავშირის ხელმძღვანელობას წევრად მიღების თაობაზე;

4.3. კავშირის წევრებს ეძლევათ ერთიანი ნიშნის საწევრო ბილეთი.

4.4. კავშირიდან გასულად ითვლება მწერალი, რომელიც ამის შესახებ კავშირის ხელმძღვანელ პირს ან მუდმივმოქმედ ხელმძღვანელ ორგანოს წერილობით ან საინფორმაციო საშუალებებით განუცხადებს.

4.5. კავშირის წევრი კავშირიდან გასულად ჩითვლება, გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე თუ მორალურ ან მატერიალურ ზიანს მიაყენებს კავშირს (ან მის ცალკეულ წევრებს). ამასთან კავშირიდან დათხოვილ წევრს უფლება აქვს აპელაციით მიმართოს კავშირის მორიგ ყრილობას.

4.6. კავშირის წევრს უფლება აქვს: აირჩიოს და არჩეულ იქნას კავშირის ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში.

დაბეჭდოს თავისი ნაწარმოებები კავშირის ბეჭდვით ორგანოებში (გაზეთი, ჟურნალი, ალმანახი) და გამოსცეს თავისი წიგნი (წიგნები) კავშირის გამომცემლობაში და სხვაგან;

ისარგებლოს კავშირისა და მისი ფონდების, თანამდგომარეობის კომუნიკაციების დახმარებით, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მომსახურებით;

მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია კავშირის წესდების ხელმძღვანელი პირის, ორგანოებისა და ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

4.7. კავშირის წევრი ვალდებულია:

დაიცავს კავშირის წესდების მოთხოვნები;

აქტიური მონაწილეობა მიიღოს კავშირის საქმიანობაში;

დაიცავს კავშირის ერთიანობა, იზრუნოს მისი საზოგადოებრივი და ეროვნული ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

გადაიხადოს კავშირის საწევრო შესატანი დადგენილი წესით.

V. კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის ორგანოები

5.1. კავშირის უმაღლესი ორგანოებია: ყრილობა (საერთო კრება) კავშირის მართვის უმაღლესი ორგანო ყრილობებს შორის პერიოდში არის გამგეობა.

5.2. კავშირის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი თანამდებობებია:

1. 5 კაციანი სამდგომარეობისა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილებით) წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილებით).

VI. ყრილობა (საერთო კრება)

6.1. კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა „ყრილობა“, რომელიც მოიწვევა 5 წელიწადში ერთხელ საბჭოს მიერ. რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნას ორი თვის ვადაში კავშირის თავმჯდომარის ან კავშირის წევრთა 1/3-ზე მეტის ან სარევიზო კომისიის მოთხოვნით დღის წესრიგის მითითებით, ამასთან მოთხოვნა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და გამომდინარეობდეს კავშირის საქმიანობაში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი დარღვევის, ან სხვა საფუძვლიანი მოტივით. კავშირის სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ და უზრუნველყოფს ყრილობის მოწვევას;

6.2. კავშირის თავმჯდომარეს კავშირის სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში აღმოჩენილი სერიოზული დარღვევების შემთხვევაში შეუძლია სამეურვეო საბჭოს თანხმობის გარეშე მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა;

6.3. ყრილობის მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს და ინფორმაცია ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს საინფორმაციო საშუალებებით ყრილობამდე ერთი თვით ადრე მაინც.

6.4. ყრილობა უფლებამოსილია თუ რეგისტრაციას გაივლის კავშირის წევრთა ნახევარზე მეტი, ყრილობის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კავშირის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას სჭირდება კავშირის ყველა წევრის ხმათა ორი მესამედი. იმ მწერლებს, რომლებიც საპატიო მიზეზით ვერ ესწრებიან ყრილობას, შეუძლიათ სათანადოდ დამონებულ დოკუმენტის საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში, ისინი უთანაბრდებიან ყრილობაზე დამსწრე წევრებს.

6.5. კავშირის ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დღის წესრიგში როგორც წი-

ნასწარ, ასევე ყრილობის პროცესში დამსწრეთა ხმების უმრავლესობით შეტანილ საკითხზე.

6.6. ყრილობა ამტკიცებს კავშირის ნესდებს, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები.

6.7. ყრილობა პირდაპირი, ფარული ან ღია კენჭისყრით 5 (ხუთი) წლის ვადით ირჩევს გამგეობას 35 (ოცდათხუთმეტი) მწერლის შემადგენლობით, ასევე სამდივნოს 5-კაციანი შემადგენლობით, რომელიც ამავდროულად არის გამგეობის წევრი.

სამდივნოს წევრები დებენ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც წესრიგდება კავშირის საქმიანობასთან ან/და სამდივნოს წევრების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები.

ამ შეთანხმების საფუძველზე, რაკი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს (5-კაციანი სამდივნო), კავშირის თითოეული წარმომადგენელი ერთობლივად.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 5-კაციანი სამდივნოში შემავალი სუბიექტები, რომლებიც ასევე წარმომადგენენ თანათავმჯდომარეებს წარმომადგენენ ხელმძღვანელ/პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც წარმართავენ კავშირისა და მისი გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფენ აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერენ და პასუხისმგებელი არიან გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებაზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის 5-კაციანი სამდივნო არჩეულია ყრილობის მიერ პირდაპირი ფარული, ან ღია კენჭისყრით ალტერნატიულ საფუძველზე, მისი ხელახალი არჩევის უფლებით.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სამდივნოს ცალკეულ წევრს, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, საკუთარ უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის დელეგირება შეუძლია მთლიანად გადასცეს კავშირის ხელმძღვანელ სხვა პირს, თანახმად „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილისა.

სამდივნოს წევრებს აქვთ თანაბარი უფლება გაეცნონ შემოქმედებითი კავშირის პროცესზე შექმნილ ნებისმიერ დოკუმენტაციას, მიიღონ ნებისმიერი პუბლიკაცია დაკავშირებული კავშირის საქმიანობასთან და შეამოწმონ ნაწილი ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნონ საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან სარევიზიო კომისიისგან გამოითხოვონ ამგვარი საბუთები.

სამდივნოს რომელიმე წევრის მხრიან კანონმდებლობის განზრახვი ან/და უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სამდივნოს დანარჩენ წევრებს შეუძლიათ მოახდინონ დამრღვევის დისკრედიტაცია. ამასთან, წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, იმ დოკუმენტაციის სისწორეზე, რაზეც აღნიშნულია მათი ფაქსიმილი (ხელმოწერის ნამდვილობა).

6.8. კავშირის თავმჯდომარე იმავდროულად არის გამგეობის თავმჯდომარე.

6.9. გამგეობის წევრობის კანდიდატთა დასახელება ხდება ყრილობაზე ზეპირი განცხადებით. კანდიდატებს კენჭი ეყრება ფარული ან ღია კენჭისყრით ცალ-ცალკე ან ყველას ერთად (ყრილობის გადაწყვეტილებით).

6.11. დაუშვებელია თავმჯდომარის ან მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე თანათავმჯდომარეების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. გამონაკლისს წარმოადგენს ნესდების მოთხოვნით

ნათა უხეში დარღვევა ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი;

VII. მწერალთა კავშირის გამგეობა

7.1. ყრილობებს შორის კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა გამგეობა;

7.2 გამგეობის წევრები ირჩევა ყრილობაზე ღია კენჭისყრით 5 (ხუთი) წლის ვადით. ჩამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე;

7.3. გამგეობა შედგება ყრილობაზე არჩეული წევრებისა და სამდივნოსგან;

7.4. გამგეობის სხდომა იმართება სამ თვეში ერთხელ მაინც;

7.5. გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს გამგეობის თავმჯდომარეს ან გამგეობის წევრთა 1/3-ს ან სარევიზიო კომისიას. გამგეობის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება (ან წარმოდგენილია) მის წევრთა ნახევარი მაინც;

7.6. გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის ყველა წევრს აქვს ერთი ხმა;

7.7. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით;

7.8. თუ გამგეობის წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია ხმა მისცეს გადაწყვეტ საკითხს სათანადოდ დამონმებულ დოკუმენტის საფუძველზე, გადასცეს საკუთარი ხმა კავშირის სხვა წევრს;

7.9. გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

განსაზღვრავს წევრთა ყრილობაზე დელეგირების ნორმებს;

განაგებს კავშირის ქონებას და სახსრებს;

გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება: გადაწყვეტილებათა მიღება კავშირის უძრავ-მოძრავი ქონების განკარგვის, კავშირის კუთვნილი შენობა-ნაგებობების და სხვა ქონების იჯარით გაცემის, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ან სხვა ქონებრივი ხელშეკრულებების განხილვა და დამტკიცება, ურთიერთობების მონესწარება იმ ორგანიზაციებთან, რომელთა დაფუძნებაშიც კავშირი მონაწილეობს წილობრივად;

კავშირის თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს კავშირის ფონდების, ცენტრალური აპარატის არქივის, ბიბლიოთეკების, საფინანსო განყოფილების, ფილიალების (ადგილობრივი ორგანიზაციების) დებულებებს;

იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის ფილიალების (ადგილობრივი ორგანიზაციების) კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირების ფონდებისა და კავშირების დაფუძნების შესახებ და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

ისმენს თავმჯდომარის ან თანათავმჯდომარეების ინფორმაციას კავშირის მიმდინარე საქმიანობის შესახებ;

შეიმუშავებს რეკომენდაციებს კავშირის ნაწილი საწევრო გადასახადის ოდენობის შესახებ; და დასამტკიცებლად წარუდგენს ყრილობას;

შეიმუშავებს და ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის განუყოფელი საქმიანობის შესახებ ნაწილი ანგარიშს;

ქმნის სამუშაო ჯგუფებს, სექციებს, სექტორებს, განყოფილებებს, კომისიებს, ამტკიცებს მათ დებულებას და ირჩევს მათ თავმჯდომარეებსა და შემადგენლობას; იღებს სხვა გადაწყვეტილებებს საწევრო მიზნების მისაღწევად.

სამდივნოს გააჩნია წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილება.

ხოლო გამგეობის 35-კაციანი (ოცდათხუთმეტი) შემადგენლობას (გარდა იმ 5 წევრისა, რომელიც წარმომადგენს სამდივნოს 5-კაციანი შემადგენლობას) მწერალთა

შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილება არ გააჩნია. მათ შეუძლიათ სარეკომენდაციო წინადადებით მიმართონ სამდივნოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მათ მიერ წარდგენილი წინადადება იურიდიულ ძალას შეიძენს გამგეობის მიერ მონიშნის შემთხვევაში.

VIII. თანათავმჯდომარეები, (დასახელებულია ხუთთვე კავშირის სამდივნოდან)

8.1. თავმჯდომარე: უძღვება კავშირის მიმდინარე საქმიანობას;

ხელმძღვანელობს კავშირის აპარატს; წარმოადგენს კავშირს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გამგეობის თანხმობით ახორციელებს კავშირის მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია ფინანსური სახსრების გამოყენებაზე;

ხელმძღვანელობს საბჭოს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს კომისიების მუშაობას;

გამგეობას წარუდგენს კავშირის განუყოფელი საქმიანობის შესახებ ნაწილი ანგარიშის პროექტს;

ხელს აწერს კავშირის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის ცენტრალური აპარატისა და ადგილობრივი ფილიალების დებულებების პროექტებს;

ნიშნავს კავშირის სამსახურების ხელმძღვანელებს, აპარატის თანამშრომლებს, მიზნობრივი პროექტების კოორდინატორებს და დამხმარე პერსონალს;

ხელმძღვანელობს კავშირის მიზნობრივი პროექტების განხორციელებას;

გამოსცემს ბრძანებებს;

ასრულებს სხვა ფუნქციებს საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

წყვეტს სხვა საკითხებს, რომელთა უფლებაც გააჩნია კანონის საფუძველზე და რომლებიც ამ ნესდებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოთა უფლებამოსილებას.

8.2. თანათავმჯდომარეები: თავმჯდომარესთან ერთად უზრუნველყოფენ კავშირის ნესდების დაცვას და გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას;

მუშაობენ საორგანიზაციო, საკანონმდებლო და შემოქმედებით პროექტებზე;

მწერალთა სოციალური დაცვის საკითხებზე, საგამომცემლო საქმიანობაზე;

თავმჯდომარის არყოფნის ან სხვა შემთხვევაში საბჭოს დავალებით ასრულებენ მის ფუნქციებს.

IX. კავშირის საკუთრება (ქონება) და შემოსავლის წყაროები

9.1. კავშირის შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს მიწის ნაკვეთი, შენობები, ნაგებობები, სამედიცინო დაწესებულებები, დასასვენებელი და შემოქმედებითი სახლები, გამომცემლობები, საცხოვრებელი ფონდი, საწარმოები და ორგანიზაციები, წიგნის მალაზიები, ჟურნალ-გაზეთებისა და მათი სარეალიზაციო საშუალებები, ტრანსპორტი, ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რაც მას ესაჭიროება საწევრო მიზნების განხორციელებისათვის და ნებადართულია კანონით;

9.2. კავშირის ქონების და ფინანსების ფორმირების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი;

კავშირის გამგეობაში არსებული ქონებიდან მიღებული შემოსავლები;

საწევრო შესატანები;

მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი სახელმწიფო თუ საერთაშორისო პროექტების და პროგრამების შექმნითა და განხორციელებით მიღებული სუბსიდიები თუ შემოსავლები;

იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი შემოწირულობები, ან ნაწილდერძები ქონება, გრანტები;

კანონით ნებადართული დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები, კანონიერი გზით მიღებული საიჯარო შემოსავლები;

კულტურულ-გასართობი, შემოქმედებითი და სხვა ფასიანი ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები;

კანონიერი გზით მიღებული სხვა შემოსავლები.

9.3. კავშირის ქონება ერთიანი და განუყოფელია, იგი არ შეიძლება განაწილდეს კავშირის წევრთა შორის, კავშირიდან გასულ მწერლებს ან მწერალთა გაერთიანებებს არა აქვთ ქონებრივი წილის მოთხოვნის უფლება, მათი იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემთხვევაშიც კი.

X. კავშირის საქმიანობაზე კონტროლი.

10.1. კავშირის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია, რომელსაც ირჩევს ყრილობა 5 წლის ვადით, არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით;

10.2. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს კავშირის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზია, კონტროლი გაუწიოს კავშირის ქონების მართვას, შემოსავლების ხარჯვას, პერიოდულად მოითხოვოს ანგარიშების წარდგენა კავშირის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. განსაკუთრებულ შემთხვევაში მოიწვიოს საბჭოს სხდომები;

10.3. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს;

10.4. სარევიზიო კომისიის სხდომები აუცილებლად მოიწვევა წლის ბოლოს და იხილავს კავშირის საფინანსო საქმიანობის ნაწილ შედეგებს, კომისიის სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნას აგრეთვე საჭიროებისამებრ თავმჯდომარის ან კავშირის წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნით;

10.5. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით;

10.6. კავშირის სამეწარმეო სამეურნეო და საფინანსო სახელმწიფო კონტროლს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი მარეგისტრირებული ორგანოები.

XI. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

11.1. კავშირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. გადაწყვეტილებას ძირეული რეორგანიზაციის შესახებ იღებს ყრილობა, რისთვისაც საჭიროა წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი;

11.2. კავშირის ლიკვიდაცია ხდება: ყრილობის გადაწყვეტილებით, რისთვისაც საჭიროა წევრთა სრული შემადგენლობის 2/3.

11.3. ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონება შეიძლება განაწილდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ცხელოდა. ქუთაისში აგვისტო აგვისტობდა. ომით ელდაცემულ ქალაქს დიდი მიზეზი ჰქონდა, შინ, ოთხკედელში ჩაკეტილიყო და შიშით ეცქირა ტელევიზორისთვის.

საზოგადოებრივი ტელევიზია, ვერ დაუფარავ, ძალიან ცდილობდა, მაყურებლისთვის გუნება არ მოეშხამა, თუმცა შიგადაშიგ მართალსაც გამოურევდა ხოლმე.

აკაკის ბაღი მიტოვებულს ჰგავდა. ოდენ მტრედები ფრთხილებდნენ გამორთული შადრევნის აუზის პირას. თავიანთ მტრედულ პრობლემებზე ლულუნებდნენ და დროდადრო ნყალში ამოავლებდნენ ხოლმე ლამაზ თავ — ფრთებს გასაგრილებლად.

თეატრის წინ ძველთაძველმა „მოსკვირმა“ გადმოჭრა მოედანი, წითელი ხიდი გადაიარა და ყრმა გალაკტიონის ძეგლთან შეჩერდა.

— აქ შეუხვიე, მარჯვნივ, ეიხედე ზევით... ე... იქ ვართ ასასვლელი.

კაცმა მინა ჩამოსწია და კორკიმელის გასწვრივ ხელი გაიშვირა.

— აუ, სად ყოფილხარ?! ზეით თუ ქუჩა იყო, არც ქე ვიცოდი, — შეიცხადა მძღოლმა.

— ხო გითხარი თავიდან. აგიდულებს ვითომ?

— შენ არხეინათ იყავი. ამ დანჯღრეულ „მოსკვირს“ მასე ნუ უყურებ. გუშინწინ ორი რელსი მოვუტანე ვინცხასა ჭომაზე.

თუხთუხ-სვენებით, ხლიწინ-ხველებით, როგორც იქნა, ააღწიეს. რკინის ჭიშკარი და ნაგვერდულის ღობე ერთფერად — ბაცმწვანედ იყო შეღებილი.

— შევედით. მასპინძელი გადავიდა, ჭიშკარი გაალო და შოფერს მიუბრუნდა.

— წინ წადი, მარცხნივ ეილე და „ზადნით“ შემოდი.

შოფერმა ბარგი იქვე, ჭიშკართან, კონდარზე დაანყობინა და „კრანს“ პეშვი შეუშვირა.

— ჭიქას მოგიტან.

— არ მინდა. ასე უფრო ვატან გემოს. „მოსკვირი“ ჩარიხინდა და რეაქტიულივით სქელი, ცისფერი კვამლი მიიხვია.

— გესმის?! კარებზე დააბრაახუნა.

პარმალზე თავნაკრული, გამხდარი ქალი გამოჩნდა. ქმრისთვის არც შეუხედავს და ჭიშკართან მილაგებულს დაადგა თვალი.

— ავანსი მომცეს და ცოტა რაცხა ვიყიდე: ერთი ტომარა პურის ფქვილი, ერთი ტომარა კარტოფილი, ნახევარი ტომარა შაქარი და ხუთი ლიტრი ზეთი, სიმინდის ზეთი, პორტუგალიური, ნოქარმა, რა ვიცი, პორტუგალიური? — რათ გინდოდა ამდენი რამე. კარ-

ტოფილში მინც რავა გადაყარე ფული. ერთ კვირაში ამოვა და დეიფუტება.

ქალმა შაქრიანი ნახევარტომარა მოიგდო თეძოზე.

— მეიცა, მეიცა. ერთ მხარეს მე დევიკავებ... შიმშილობა იქნებაო.

— რო არ იქნეს?

— რო იქნეს? ამგენს ენდო ტიფა. ფქვილი და კარტოფილი თუ გაქვს სახლში, ცოტა გულმცემული ხარ. ხო ხედავ, ომია.

— რა ომია, შალიკო, შენ ამას ომს ეძახი?

— ქალო, რო მიჩერებხარ ჭინკასავით ტელევიზორს, აზრი ვერაფერი გამოგაქ? ხო ხედავ, ორ-ორად რო დაშლივინობენ თვითმფრინავები და ყვავის კაკლებივით ყრიან ბომბებს.

— ყრიან მარა, ბევრი არ სკდებაო, ესო შესაშინებელი ბომბებიო. ვა-

ძილუი არ გაიპარო

ლიკოს მარუსიე ამბობდა, ამ დილას რძის რიგში.

— კი, კი, გეთამაშება, გაშინებს რუსი — თქვა, შესაშინებელი კი არა, გორში სახლი არ დატოვა ცეცხლწოკიდებელი.

დილით პურზე ჩავიდა.

თაროზე სერი პური ელაგა, მაგრამ შილიფად ჩაცმული ქალები განზე იდგნენ და თავიანთი ნახევრადსერიოზული (ნახევრადჭკვიანური კინალამ წამომცდა) მუსაიფით თავს იქცევდნენ.

შალიკოს არაფერი უკითხავს. მიხვდა, ახალი პური ჯერ არ მოეტანათ. ფანჯარასთან მიდგა.

— აპა, ჩემი ქმარი, გენაცვალე... ჩემ ქმარს მაგი არ შეეშლებოდა... მაგ კი არა, აქით მეკითხება ხანდახან...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმოდა მალალი, ნაბლისფერთმება, პომადიანი ქაღალის ნათქვამი და შალიკოს ეგონა, ის ქალი მის გასაგონდაც ლაპარაკობდა.

„ქალი რომ ქმრის ქებას სახალხოდ დეინყებს, ორი რამ არის: ან ნალაღტევი აქვს მისთვის უკვე, ან ანი აპირებს უღალატოს“ — გაიფიქრა შალვამ.

მუშტუკი გაანყო და გარეთ გავიდა. სინაურიძის ჭიშკართან ჩამომსხდარნი ნუხანდელი ტელევიზორის ამბავს არჩევდნენ.

— არაფერი არ ვიცით, არა ჩვენ... ჩვენ არაფერს არ გვეუბნებიან. სერიოზულათ თუ ვომობთ, არც ეს მგონია, დეიქცა ცხინვალიო. ვინ ნახა... რომელმა ნახეთ ერთი მითხარით?!

— ასე რავა შეიძლება, შე კაცო, წილო რუსმა ნახევარი ქვეყანა და მაინცდამაინც შენს ეზოში უნდა ჩამოვარდეს ბომბი, რო დეიჯერო?

— რავა იყო ნუხელი, დეინახე? რავა დაძვრებოდა ე ჩვენი პრეზიდენტი დაცვის ბიჭების ლაჯებში, დეინახე?

— უღალწვერებიანი იობიძე სიცილით ჩაბჭირდა.

— ისე სხარტი ქე ყოფილა, მე ამდენიც თუ შეეძლო, არ მეგონა, გაქცევით მარდათ გეიქცა.

— სული მწარეა, ბიძია.

— ისე... მე რომ მკითხობთ, დაცვის ბრალიცაა, — სიცილით სულს ძლივს ითქვამდა იობიძე — რა იყო, რა მოხდა ამნაირი, რომ მეიგდეს ფეხქვეშ ამხელა კაცი და რო დააყარეს თუ რამე მოხვდათ ხელში: ტაშტი, კარდალა, ფანერკის ნაჭერი, ნახმარი ჯავშანფილეტი, არყის ქვაბი, შეაწუხეს კაცი... კიდო კარქათ გამოხვანცალდა იქიდან.

— მე, მაგალითად, სხვანაირად ვუყურებ ამ ამბავს — დაინყო პედინსტიტუტის კონკურსში ვერგამარჯვებულმა, ნაადრევმა პენსიონერ-ლექტორმა მალლაკელიძემ, — რაკი გეიქცა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთლად სულელიც არ ყოფილა. შიშის გრძობა სად აქვს სულელს. ჩვენი საქმე მთლად დაღუპული მაშინ იქნებოდა, პრეზიდენტი ჟირაფივით თავანუელი, ნელა რო წასულიყო. იმ ჯგლეთა-ქიჩავში შენ არ გეიქცეოდი, მაგალითად? შეეშინდა კაცს; არ მდრუხოს რუსმა ბომბი ზურგშიო და მოუჩქარა ფეხს, რა იყო, რა მოხდა, ყოლიფერი საგლახაოდ და სალადაოდ უნდა აქციოთ?!

— სტუმარი რო ახლდა? ი სტუმარი რო ერთ ადგილას დეიკიდა და თვითონ

რო უშველა თავს?

— რა ექნა, აპა... იფიქრა იმ კაცმა, მე თუ მოვკვდი აქანა, სტუმარიც უკან დამრჩება და მასპინძელიცო. სტუმრის მეტს რას ვიშოვი, მე თუ არ ვიქენი, მოსრია პატრონი, რაც სტუმარია ქვეყანაზეო.

— უწმინდე პირი ხო, შენი პატრონობა უნდა მაგას. მიტომა ვართ ამ დღეში.

— მე არავის არ ვპატრონობ. მე არ მიმიცია ხმა, შენ მიეცი და შენნაირებმა. ხვარ დაგავინყდა ოც-ოცი ლარი რო ჩამოგირიგათ ხახალეიშვილმა.

— ვაი... რავარც ის ოცი ლარი ჩემ ჯიბეში ჩევიდა, ისე მიცეს ხეირი გამჩენმა შენს დამანყევარს. შენ არ დაგწყველი, მეცოდები, ჩემი ბოვშის ლექტორი იყავი, მაინც, რაც არ უნდა იყოს, — თავი იმართლა იობიძემ.

— კაი, კაი, კაი, კაი, ნუ გეიმამაბრა-მისბატკნებთ ახლა სუყველა თავს, — მეზობლებისთვის სრულიად მოულოდნელად ჩაერთო სანდუხადის გერი გუჯია, — ძან მშვენივრად ეილეთ, მეც ევილე, არ ვმალავ, რავა თავის ჯიბიდან კი არ არიგებდა ხახალეიშვილი.

შალიკომ შეატყო: ლაპარაკი ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ელფერს რომ იძენდა და ბირჟას გაერიდა.

მალაზიაში შევიდა და შიდა კარის მინაში არეკლილ თავის თავს ჰკიდა თვალი. უსაშველოდ ხუჭუჭი, სავარცხლებმმტვრევი, მოურჯულეზლად ურჩი, ჭალარა თმა ქინჯილოჯა ბალახივით ეხურა თავზე. „რა ჩქარა იზრდება ე დასანავაიო“, ყოველ შეხედვაზე გაიფიქრებდა ხოლმე შალიკო და, რასაკვირველია, ახლაც ეს გაიფიქრა თავის მომბაზურებელ თმაზე. მწვანე, ბუდიდან უჩვეულოდ ამონეული თვალეები ჰქონდა და გაბუშტულ ცხვირს ქვემოთ, ვინრო საულვავაშეზე ძლივსდატეული, ჭალარა, მაგრამ არახუჭუჭა, ფენჯგირესავით სწორი, მსხვილნემსა ულვაშები. სამოცის ჯერ არ იყო, მაგრამ ყურში ამოსულ მუქშავ თმებს ინდაურის ბიბილოსავით ლურჯ-წითელი, ლედვის ფოთლებივით ფართო ყურები თითქმის ამოევსო. ზედ ყურთან იწყებოდა ორი ქალამნის ტყავივით სქელი ნაოჭი ქედ-კისერში რომ ჩახვეოდა და სადღაც ბერძნული კაკლისოდენა ადამის ვაშლის ქვემოთ იკარგებოდა.

მარცხენა კეფასთან ძლივს მოუჩანდა ბადრიჯნისთავის ხელა ცხიმრქა, რომელსაც, კიდევ კარგი, ასი პროცენტით შენარჩუნებული ქორორი საიმედოდ უფარავდა, მაღალი არ ეთქმოდა, მა-

გრამ არც დაბლად ჩათვლიდით. გამხდარი, რომ იტყვიან, ჩასხმულ ტანზე დაკვირვებული თვალი რასაც შეამჩნევდა, პირველ რიგში, გრძელი, ზურგთმიანი, დამჭნარი უნაბისფერი ხელები იყო. ბრტყელტერფა გახლდათ და სიარულის დროს ფეხებს მრუდედ ანყობილი რობოტივით აჩაბაჩა დგამდა. სამუხლებე დაკვირვებული ჯინსი ეცვა და ოდესღაც ლურჯი ხალათ-პერანგი.

ლავაშნახევარი (ნახევარი ლავაში გზაში შემოეჭამა) აივანზე ჩამოკიდებულ კალანჩხაში ჩადო, ბებერი მსხლის ძირში სასკამედ გადაჭრილ მორზე ჩამოჯდა და ღობისძირას მოხტუნავე მამალს მიაჩერდა.

უდებო მამალი ტრიფოლიატზე მიშველებულ შეთვალულ ადესას სათითაოდ კუმპლავდა. თითო ახტომაზე თითო მარცვალს მოიგდებდა ნისკარტში, მაგრამ ჩანდა, მისთვის ესეც ხეირი იყო, ყოველ შემთხვევაში ეს საქმე არც ბეზრდებოდა და, მაინცდამაინც, არც დაღლა ეტყობოდა.

ჭიშკართან რომანია ხვადაგიანის უფროსი ბიჭის, კიჭოია ხვადაგიანის ძველთაძველი „ფიგული“ გაჩერდა.

— შალიკო ბიძია! შალიკო სტუმარს გაეგება.

— ფოთიდან თბილისში ალუმინის ბიდონები მაქ წასალეები, თუ არავის ხარ რამეზე შეპირებული, წამომყევი. კაი ტკიცინა ხუთთუშნიანს, ალაღს და დოუ-მადლებელს, ქე მოგართმევ და ხვალ ამ დროს აქანა დაგვამ, შენს ჭიშკართან.

— რა ვიცი, ეირია, ბიჭო, ქვეყანა და... როის მიდიხარ?

— ახლა ა ამ ნუთში. რო ეირია, მეც მიტო გუეუბნები. ქე მეშინია მარტო წასვლა. ჩვენ ვინ რას გვერჩის... მარა მაინც, წამოხვალ?

— წამოვალ, აპა — კეფა მოიფხანა — მარტოს ხვარ გაგომობ.

კიბე აირბინა, ორიოდ ნუთში გრძელკეპიანი ხაკის ქუდით და საწვიმრით დაბრუნდა. უკან ცოლი მოსდევდა.

— ჩაი მაინც დეველიათ. რა დროს წასვლა იყო. როის მოხვალ, როის?!

— ხვალ ამ დროს! — კიჭოიას გვერდით მიუჯდა, — წევედით.

ცოდვის გაკითხვა, რასაც ჰქვია, სწორედ ის ტრიალებდა სამტრედიას რომ გაცდებოდი, ფოთის და სენაკის გზებზე. სიციხით დაოსებული, ოფლში გახვითქული, დარდისგან და შიშისგან პირმოღრეცილი ადამიანები ვაი-ვიშით მოაგორებდნენ ყველაფერს, რასაც ბორბალი ჰქონდა.

ისმოდა ქალების მოთქმა-ტირილი, ზარი და გინასი... ზაფრა-ელდა განოლილიყო გზაზე. ყველას წინ უნდოდა გასვლა. ყველას გადასწრება სურდა და ერთმანეთის ნათქვამს „მე ავადმყოფის პატრონი ვარ და მე ძუძუთა ბავშვი მიმყავსო“ უსმენდნენ, მაგრამ არად აგდებდნენ.

საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ სენაკის და ფოთის დაბომბვაზე, აეროპორტის და ნავსადგურის ბეტონის ტრაპები მკვდრებითაა მოფენილი, მაგრამ ახლოს არ გვაკარებენო.

„ბეტერებთან“ რუსი სალდათები იდგნენ და ყველას ნალმა-უკულმა საბუთს თხოვდნენ. მოწმობას რომ დააძრობდა, შიგ არც იხედებოდნენ. ეტყობა კითხვა არ სიამოვნებდათ.

უკან მობრუნება გადანყვიტეს, მაგრამ ისე იყვნენ ჩაჭედლები რიგში, რომ იქედან გამოღწევა შეუძლებელი იყო.

ქუთაისიდან შუადღისას გამოსულე-
ბი ლამის 1 საათზე ჩავიდნენ ფოთში.

მასპინძელმა მორგოშიამ იმ ღამეს,
საშიშიაო და არ გამოუშვა. არც თვით
ჰქონდათ წამოსვლის თავი. დილით დატ-
ვირთეს მანქანა და ფოთის გამოსასვ-
ლელთან რომ გავიდნენ, ურჩიეს: ახალქა-
ლაქზე წადით, შედარებით უსაფრთხოაო.

ასეც მოიქცნენ.
მტვრიან-ბულიანი გზით განამე-
ბულ-გათეთრებულუბმა, როგორც იქნა,
ჩამოაღწიეს ბაკურიანამდე, მაგრამ
წალკის გზა აღარ გააგრძელეს, ბორ-
ჯომის გზით გადმოვიდნენ ხაშურზე.

ასე იმიტომაც მოიქცნენ, რომ გზა-
ჯვარედინზე ცალფეხა, ყვარჯინი-
ანი კაცი იდგა და ყველას ეუბნებოდა:
გორზე წადით, ხიდი აღდგენილიაო.

როგორც მერე გაირკვა, ცალფეხა
ცრუობდა, მაგრამ რატომ ავრცელებდა
ასე ენერგიულად ტყუილს, ამ ნოველის
ავტორისათვის დღესაც გაუგებარია.

ჯავახეთ-ახალქალაქის გზაზე ხუთი
საათი ისე იარეს, ქართულის მცოდნე
ერთი კაციც არ შეხვედრიათ. საქართვე-
ლოს მოქალაქეები ნათლად და გასაგებად
ვერც რუსულად ახერხებდნენ გზის სწავ-
ლებას. ერთი კი იყო, რძის ბიძონებს რომ
თვალს შეავლებდნენ, სირბილ-ლრეჯით
მოყვებოდნენ მანქანას. მე მგონი, მიყიდ-
ვაზე უფრო მეტად ჩუქებას ითხოვდნენ.

ქართლის მცირე ულელტეხილზე
გორისკენ რომ დაემგნენ, პირველივე
„ბეტეერთან“ შეაჩერეს, ორი ავტომა-
ტიანი ცხვირპაჭუა პირდაპირ მანქანას
ეცა. მანქანის პატრონებისთვის ზედაც
არ შეუხედავთ. ერთმანეთს რაღაც
გადაულაპარაკეს და მწვანე ვილისში
ბიძონების გადაცლა დაიწყეს.

შალვა და კიჭოია აყვირდნენ, რაც
შეეძლოთ. მიყვებ—მოყვებოდნენ, ემუ-
დარებოდნენ სალდათებს, მაგრამ შეა-
ყარე კედელს ცერცვი.

— რაია, იცი? ჩემი არაა ეს უპატრო-
ნო, თვარა ჩემი რო იყოს, მოგცემდიყენ.
სხვამ გამომატანა! თბილისში მიმაქვს.
სად მაქმე ამის გადასახდელი ფული.
ნუ დამღუპავთ! ხალხი არა ხართ!? —
იმდულრებოდა კიჭოია.

ჯარისკაცს მობეზრდა მეზიდონის
მანქვა—გრეხა და კაპიტანს უხმო.

— შტო ონ ხოჩეტ? ჩტო ტი ხოჩემ?!
— მიუბრუნდა კიჭოიას უშლემო კაპ-
იტანი, რომელსაც მზისგან სახე ერთი
უნყინარი, ადამიანისმსგავსი ცხოვე-
ლის ტრაკისფრად განითლებოდა.

— რაია, იცი?! — ახლა კაპიტანს
შეაცქერდა კიჭო, — ჩემი არაა, ეს უპ-
ატრონო, სხვამ გამომატანა ფოთიდან.
სამი ცალი წილით, თუ ძაან გჭირდე-
ბათ, დანარჩენი დამიბრუნეთ!..

კაპიტანმა უსმინა, უსმინა და თითქოს
ყველაფერს მიხვდაო, მოკლედ მოუჭრა:

— პაშოლ ნა ხუი!

სალდათებმა ცარიელ „უიგულს“
ფეხები დაუშინეს, წადით აქედან თო-
რემ ამ თქვენს დამპალ „დრანდალეტს“
ხრამში გადაგიგდებთო.

ცრემლგამშრალი „გმირები“ იქაუ-
რობას გაეცალნენ.

— ესაა ღვთისმობელს ვერგეთ წილა-
დო? — ჩაიკვნესა კიჭომ.

— მაგი ქენი, მაგი... ვისი წილი და
არჩივიც ვართ, მე კარგად ვხედავ...

აფეთქებულ ხიდამდე ვერ გააღწე-
ვდნენ. მანქანა გზიდან გადააყენეს და
ფეხით გაუყვნენ.

გორთან ოტებულები ნაბრძოლი ბიჭე-
ბი მოღუშული, გაბრაზებული სახეებით
ჯგუფ-ჯგუფად დააბიჯებდნენ. არავის

უჩერებოდნენ და არც შეკითხვაზე
(„რა ხდება იქეთო“) პასუხობდნენ.

სტალინის სახლ-მუზეუმის უკან,
მოედანზე ძლივს სულმოთქმული დევ-
ნილები სახელდახელო ფუთა-ჩანთებს
შემოსხდომოდნენ და წამდაუნუმ ცას
აჰყურებდნენ.

— ბატონო, — შალვას მიუბრუნდა,
ხანშიშესული, სანდომიანი, შაოსანი
ქალი, — დღეს საღამომდე დაგვ-
აბრუნებენ ვითომ სახლებში?

— საიდან ხარ? — ისე ჰკითხა შალ-
ვამ, თითქოს დაბრუნების საკითხში
ძალიან გარკვეული იყო.

— ტყვიავიდან. აგერ ვარ შვიდ კი-
ლომეტრში... ტყვიავი როგორ არ გე-
ცოდინება.

შალიკომ თავი დაუქნია.

— რატომ გეკითხები, იცი? საქონელი
არ ამიხსნია და ბოგის კარიც დაკეტილი
დავტოვე. სისხამზე დაბომბვა რო დაი-
წყეს, არიქა, არიქაო, ვსტაცე ბავშვებს
ხელი და გამოვიქციე. დღეს თუ არ
შევბრუნდი, დასკდება საქონელი წყურ-
ვილით. სამი ძროხა მყავს ერთმანეთზე
უკეთესი. ღორს და ქათამს ვილა ჩივის.

— დღეს რაღას დაბრუნდებით,
გაგანია ომია იქ, ქალბატონო, მაინც
საქონელი ბოგაში როგორ დატოვე? ეგ
როგორ დაგემართა? — ჩაერია საუბარ-
ში მალალი, ზურგჩანთიანი სამხედრო.

— ვაი, ჩემ დღეს უბედურს... ვაი, ჩემ
დღეს უბედურს, — მოთქვამდა ქალი,
რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ
გვიან საღამოთი თუ არა, ხვალ მაინც
დააბრუნებდნენ თავთავიანთ სახლებში.

გორში კარგა ხანს იხეტიალეს. ზოგს
ბარგის გადატანაში უშველეს, ერთხანს
ციხტერნიდან წყლით სავსე ვედროებს
მიაბრუნებდნენ ცეცხლმოკიდებული
სახლებისკენ, კიჭოიას თბილისში ჩასვლა
უნდოდა, თუმცა გზის აღდგენის იმედი
მამინ გადაეწურათ, როცა კომენდანტის
მანქანამ ჩამოიარა და ლტოლვილებს
აუწყა: ვისაც როგორ შეგიძლიათ,
მოთავსდით, დახმარებას საკრებულო-
ში მიიღებთ, თბილისისკენ გზის გახსნას
ორი დღე მაინც დასჭირდებაო.

უკან, მანქანისკენ რომ ბრუნდებოდ-
ნენ, შალიკო შემოტრიალდა და დევ-
ნილებისკენ გაიქცა. ძლივს მოძებნა
ბავშვებზე გადაფორილი შაოსანი ქალი.

— ქალბატონო, თქვენ ამბობდით
ბოგაში საქონელი დამრჩაო?

— მე, ბატონო, მე... ვაი, ჩემ დღეს
უბედურს...

— ტყვიავში რა ადგილას ცხოვ-
რობთ?

— იქვე, შესასვლელთან, მეოთხე
მოსახლე ვარ. აქედან მარჯვენა მხარეს.
„პავლიაშვილი“ აწერია ჭიშკარზე, თუ
არსებობს ჭიშკარი საერთოდ. აგერ
ვიღაცა ამბობდა, გადანვეს ნახევარი
სოფელიო.

არაფერი უთქვამს. კიჭოიასთან მიბ-
რუნდა.

— ვის ელაპარაკებოდი? — ჰკითხა
კიჭოიამ.

— არავის, ვის დეელაპარაკები, ყვე-
ლა ერთ დღეშია...

— რა ვქნათ?

— რას ვიზამთ, გავბრუნდეთ, უკან,
ქუთაისში, თუ მოვახერხებთ.

— რა პასუხი მივცე იმ ხალხს, —
კვნესა გაერია ხმაში კიჭოს.

— რა პასუხი უნდა მისცე, ჯერ
ერთი თბილისისკენ გზა რომ არ არი,
ქე ეცოდინება იმასაც და მეორეც, ომია
ბიძია, ეტყვი, ასე შემემთხვა-თქვა, გა-
გიგებს ქართველი კაცი, აპა რას იზამს.

ერთხანს უხმოდ მიიკვლევდნენ გზას.

— კიჭო, — შალიკო შეჩერდა — შენ
მანქანაში დამიცადე. მე ასე საათნახე-
ვარში, ორ საათში მოვალ.

— სად მიხვალ ამ ღამეში, შენ ხვარ
გადეირიე.

— რაია იცი. ეგერ ტყვიავში ერთი
ძველი ძმაკაცი მყავს. ბარელამ აქვე
ვარ, შოუვლი. ეგება უჭირს კაცს.

— რა დროს შევლა—შემოვლაა, შა-
ლიკო, ვერ ხედავ, რა ხდება?!

— არა, არა... უნდა მივიდე, დიდი ნა-
პატივცემარი ვარ მაგისგან.

— სა გაგიშვა ამ რიარიაში... რა ეი-
ტეხე ახლა, გლახა ფეხზე ხარ ამ დილას
ამდგარი... ნამოვალ, აბა, მეც...

— არა, არა... შენ მანქანაში დამიცადე.
მანქანას გაძარცვავს ვინცა ამაღამ.

— რაია გასაძარცვავი... რაც წასალე-
ბი იყო, ქე წიღეს.

— კარგად იყავი აპა, დაჯექი მანქა-
ნაში, წევედი!

შალიკომ მარჯვნივ ბილიკზე გადა-
უხვია და სიბნელეს შეერია.

ცხელი აგვისტოს ღამე დასავლე-
თიდან დაძრულმა ნიავმა ცოტათი
მაინც შეაგრილა.

მანქანები მილაგ-მოლაგდნენ. ზოგი
უკან დაბრუნდა. ზოგმა ახლომახლო
სოფლებში გადაუხვია.

ჰორიზონტზე შავად შესუდრულ ხე-
ებს შორის ჭურვების ელვა კანტი-კუნ-
ტად კრთოდა, ელვას მეყვსეულად ქუხ-
ილი მოსდევდა.

ზოგჯერ ავიამანადგურებელი გახა-
ზავდა ცას.

კიჭომ სავარძელი გადასწია და დაძინება
სცადა, მაგრამ რული არ მიეკარა.

მამალმა კარგა ხანია იყივლა.
შალიკო არ ჩანდა.

ოთხ საათს გადაშორებული იყო,
ორმა ბიჭმა სახელდახელო საკაციით
რომ მოიყვანა შალიკო.

„ფეხშია დაჭრილი, ჩვენ სანიტარუ-
ლი ნაწილიდან ვართო, შევუხვიეთ, რო-
გორც შევძელით ტყვია არ უნდა იყოს
შიგ. მუხლს ქვევით რბილ ხორცზეა
მოხვედრილი და გასულია, საშიში არ
უნდა იყოსო, მაგრამ ქირურგის ხელი
სასწრაფოდ სჭირდებაო. გორში ჰოს-
პიტალში მიყვანაზე თავი მოიკლაო, —
ერთმანეთს არ აცლიდნენ ბიჭები.

როგორც იქნა გადმოსვეს მანქანაში.
შალიკო არ კვნესოდა.

„თქვენ აგაშენათ ღმერთმა, თქვენ
რო არ ყოფილიყავით, დაცლილი ვიქნე-
ბოდი ახლა სისხლიდანო“... — პაუზე-
ბით, მძიმედ.. ლაპარაკობდა შალიკო —
„მისამართი და სახელი მაინც მითხარი-
თო“, ეხვეწებოდა.

შევხვებით, შევხვებით თუ გადავრ-
ჩითო, ბიჭებმა, საკაცე ხრამში მოის-
როლეს და ასფალტზე გატყაპუნდნენ.

კიჭოიამ მანქანა სურამისკენ მოაბრუნა.

— გტკივა?

— ვუძღებ.

— სად იყავი მაინც... რაფერ დაგ-
ჭრეს?

— ტყვიავში ჩევედი, ქალი რო ამ-
ბობდა, საქონელი დამრჩა დაბმული ბო-
გაზეო.

— მივხვდი მაშინვე, მაგ საქმეზე
რომ მიდიოდი, შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

— ვერ მევისვენებდი. გადვეერიოდი
ამელამ, მე ვთქვი, გინდა ასე გამხეთქია
გული და გინდა ისე-თქვა. რავარი
საქმეა დაბმული საქონელი, კიჭოია.

— მერე?

— მოვძებნე რავარც იქნა, პავლი-
აშვილების სახლი... შევიპარე ეზოში.
ახლოს კაციშვილი არ იყო... საქონელი
ბლაოდა... აქა-იქ სახლები ინვოდა, მარა
მაგ ქალის სახლი გადარჩენილი იყო.
ოვუშვი ძროხები, ქათმები, ღორები,
რაც ყავდა ერთი სიტყვით. ძალი იქვე
იყო, მარა არ დამიყვია, მიხვდა, რო არ
ვიყავი გლახა საქმეზე მისული, მოკლეთ
გადავრეკე უკან, ბაღში ეს საყოლი ყვე-
ლაფერი, შენ ხარ ჩემი ბატონი და უკან-
გამობრუნებულზე შემამჩნია ვინცხამ,
მე მგონია, სნაიპერმა მესროლა...

— რა ხდება მაინც... რავა შეატყვე...

— მტრისას, რაც იქ ხდება კიჭოია.
მეორეთ მოსვლაა ნამდვილი. ძარცვავენ
სახლებს და ცეცხლს უკიდებენ. მი-
ტოვებულ სახლებთან დგანან ოსების
ბარტავი მამინები და ეზიდებიან ყვე-
ლაფერს, რაც უშოვია სანყალ კაცს.

— რუსები?

— არც რუსები აკლებენ ხელს.

— კაი ახლა... მერე ვილაპარაკოთ...
სისხლდენა ხვარ გაქ, ზესტაფონში რო
შევიაროთ?

— არ მინდა, არა. ქუთაისში ჩამიყ-
ვანე და სამხედრო ჰოსპიტალში მიმიყ-
ვანე პირდაპირ. იქ მორიგე ქირურგები
იქნებიან, მერე ჩემთან შეიარე. უთხარი
ჩემ ცოლს, გულნაზის არ გააგებოს,
იმას თავისი ყოფნის...

— რავა?

— ჩემი სიძე გამეიძახეს რვაში და
ვინ იცის რავაა.

— ჰო... კაი ახლა... დანყნარდი... ყვე-
ლაფერი კარგად იქნება. კილო კაი ასე
რო გადარჩი.

— რათ მინდა, კიჭოია, ამნარი
გადარჩენა თუ დეიქცა ქვეყანა, რა ვნახე
მაინც დღეს... არ ვიყავი იმ გზაზე ნამყო-
ფი... გათავებულა ე საქართველო და რაის
პრეზიდენტია ეს ოჯახამენებული.

— მაგი მართლაც ოჯახამენებუ-
ლია... შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. არ
უნდა შენი ლოცვა... თვითონ რა უჭირს,
ჩვენ დაგვაქცია და დაგვანელა თვარა...

კუნაპეტი ღამე დასწოლოდა ულელ-
ტეხილს.

ათასში ერთხელ შემხვედრი მანქანა
თუ ამოანათებდა ხეთა კენწეროებს.

როცა შემხვედრი ამოივაკებდა, შუქს
ჩააქრობდა და წინა მანქანის შუქზე
მოდიოდა, მერე აქედან მომავალი ჩაი-
ქრობდა და ახლა თვითონ კეცავდა
გზას შემხვედრის სინათლეზე.

ჟიგულში ორნი ისხდნენ.

კიჭოია დროდადრო გადახედავდა
სავარძელზე გადანოლილ დაჭრილს.

— შალიკო.

— ჰო.

— გტკივა?

— კი.

— გული ხვარ გერევა?

— არა, ნუ გეშინია, ისე ხმა გემეცი
ხანდახან, არ გევიპარო ძილში.

— ნუ გეშინია, არ გევიპარები, შორა-
პანი გევიარეთ. მალე ჩავალთ.

მანქანის „ტორპედოში“ ჩაჭედილი
საათი გაჩერებით არ ჩერდებოდა, მა-
გრამ დროს მაინც ვერ ეწეოდა. დღე-ღა-
მეში საათნახევრით უკან რჩებოდა და
საათზე სამუდამოდ ხელჩაქნეული პა-
ტრონი მას უკვე აღარც ასწორებდა.

ამ უბრალო მიზეზის გამო კიჭოია
ხვადგინანა აღარ იცოდა, მისი საათი,
რომელი წლის რა დროს უჩვენებდა.



სოსო სიგუა - 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სოსო ილიას ძე სიგუა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო სოსო!

ჩვენო საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად, ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენ ხომ XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული კრიტიკული აზროვნების აღიარებული მეტრი ხართ და ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ტონს და იმპულსებს აძლევთ ქართული სალიტერატურო და არამართო სალიტერატურო კრიტიკის წინსვლასა და განვითარებას. დიახ, ეს ყოველივე თვალნათლივ ჯერ კიდევ 1971 წელს გამოჩნდა, როდესაც ჟურნალებში „მნათობსა“ და „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. ეს იყო ძალზე სერიოზული განაცხადი ქართულ მწერლობაში დასამკვიდრებლად. ჟამთა სვლამ ცხადყო, რომ ამ ხნის განმავლობაში ფართო თვალსაწიერის მქონე ღრმად განსწავლულ შემოქმედად ჩამოყალიბდით, რომელსაც ძალუძს ყველაზე რთული და პრობლემური საკითხების გაანალიზება და გადაჭრა; ძალუძს ორიენტირად და ნიშანსვეტად იქცეს ახალგაზრდა დამწყები ლიტერატორებისთვის...

თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა წარმოუდგენელია თქვენი ნააზრევის გარეშე. ამის დასტურია თქვენი ისეთი წიგნები, როგორცაა „მარტვილი და ალამდარი“ (3 ტომად), „მოდერნიზმი“,

„მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“, „სიტყვა, როგორც ბედისწერა“, „კულტუროლოგიის საფუძვლები“ (3 ტომად), „ქართული კულტურის ისტორია“ (4 ტომად), „დეენილი ტრიუმფატორი“. სწორედ ამ წიგნებში წარმოჩინდა სრული სიგრძე-სიგანით თქვენი მრავალწლიანი შრომისა და რუდუნების ნაყოფი. წარმოჩინდა თქვენი დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, ღრმა ერუდიცია, საგნებისა თუ მოვლენების დეტალური ანალიზის უნარი, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ზედმიწევნით ცოდნა. სწორედ ამიტომაცაა, რომ რასაც არ უნდა იკვლევდეთ, ქართული ლიტერატურა იქნება ის თუ კულტურა, ჟურნალისტიკა თუ შემოქმედების ფსიქოლოგია, მოდერნიზმი თუ ავანგარდიზმი, თქვენს ნააზრევს მუდამ ღრმად განსწავლული მკვლევარის ტვიფარი აზის, მკვლევარისა, რომლის თვალწინ თამაშდება XXI საუკუნის შემზარავი დრამა, რომლის თვალწინ დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ნიღბებს ამოფარებული „ზეაკაცები“ როგორ კლავენ და ამახინჯებენ ადამიანთა სულებს, როგორი ტოტალიტარული შეტევა მიჰქვით ოჯახებზე, როგორ ცდილობენ გაანადგურონ ყოველი ის სინამდვილე, დღევანდლამდე რომ მოიყვანა ჩვენი ცისფერი პლანეტა და მისი მკვიდრნი. თქვენ თვალწინ ირღვევა დროთა კავშირი, როგორ ცილდება ადამიანი ბუნებას, როგორ კარგავს მგრძობელობას, ადამიანურ სახეს, სიცოცხლის განცდას. სწორედ ამ უბედურებებში გარკვევას ცდილობთ, რათა მერმე როგორმე შევიძლოთ ჩვენივე ცოდვილი სულების გადარჩენა...

როგორ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ის ღვაწლი, რაც თქვენ დასდეთ ქართული მწერლობის ჭეშმარიტი კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. კოლხური კოშკის ბინადრის შემოქმედების ანალიზს მიეძღვნა თქვენი როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციები. იყავით მწერლის ოცტომეულის მთავარი რედაქტორი, მისი სახელობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, თსუ კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

ძალები მხატვრულ თარგმანშიც მოსინჯეთ და ჩინებულად თარგმნეთ რუსული მწერლობის დიდოსტატის ალექსანდრე ბლოკის პოეზია.

მართლაც რომ მეტად ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. სხვადასხვა დროს მუშაობდით თსუ

ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების პროფესორად, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილების ხელმძღვანელად, უნივერსიტეტ „იბერიას“ პროფესორად, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორად და ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელად. ამჟამად თქვენ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, აქტიურად აგრძელებთ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სწორედ თქვენი ხელმძღვანელობით არაერთმა მეცნიერმა დაიცვა როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციები.

წლების განმავლობაში იყავით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორი, ჟურნალ „განთიადის“ უფროსი რედაქტორი, გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი, საქტელერადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „დიდოსტატის“ დამფუძნებელი და დირექტორი, გაზეთების „ლიტერატურული საქართველოს“, „გრაალის“, „კოლხური კოშკის“, „XXI საუკუნის“ მთავარი რედაქტორი.

არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად. ამჟამად მუშაობთ საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარედ და გაზეთ „მწერლის გაზეთის“ მთავარ რედაქტორად. არჩეული ხართ ჟურნალების „პარალელის“, „საისტორიო ვერტიკალების“, „ენა და ლიტერატურის“ სარედაქციო კოლეგიების წევრად.

თქვენი მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა აღინიშნა დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, გერონტი ქიქოძის სახელობის პრემიებით. ხართ მარტვილის საპატიო მოქალაქე.

ბატონო სოსო! თქვენს კოლეგებს ახარებთ ის ფაქტი, რომ პრემია „საგურამოს“ ბიბლიოთეკის ეგიდით გამოიცემა თქვენი რჩეული ნაწერების ანტოლოგიური, რომლის ორმა ტომმა უკვე იხილა დღის სინათლე.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს თანამედროვე საქართველოს ღირსეულ შვილს, დღევანდელს და მზეგრძელს გისურვებთ მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

**რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი**

იშვიათად შემხვედრია

იშვიათად შემხვედრია უფრო განონასწორებული პიროვნება, ვიდრე სოსო სიგუა გახლავთ.

იგი საოცრად მშვიდი და თავმდაბალია, ოღონდ თავის შესაძლებლობის სრულიად მცოდნე და ქართულ მწერლობაში თავისი არც თუ მცირე ადგილის გამსიგრძელებელი.

საერთოდ უკონფლიქტო კაცია, მაგრამ როცა საჭირო გახდება, „კამეჩთან მოჭიდავე ხარს“ თავისსავე უკეთურობაზე კისერს ნაატეხინებს.

მეცხრამეტე საუკუნის ეროვნული ინტილიგენციის ტიპია მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეში გადმოსული, ნიადაგ ჰალსტუხიანი, თეთრგახამებულსაყელიანი და ქათქათა პერანგოსანი, თავზე „ცილინდრი“ და ხელში „ტროსტი“ აკლია, სხვა არაფერი.

ღრმად დარწმუნებული, ორთოდოქსი პატრიოტია.

როცა საქართველოში კაენის სული მძვინვარებდა, ზვიად გამსახურდიას მტრებმა სოფლად მცხოვრები მოხუცი დედა მოუკლეს, მაგრამ ვერ შეაშინეს, წარბი ვერ შეარხვენიეს, რწმენა ვერ შეაცვლვენიეს.

ინტელექტუალის უებრო ალლოთი გრძნობს ყოველივე სიახლეს. იცის, რას რა მოჰყვება, ვინ ცრუქაქუნად ბაქიბუქობს და ვინ ებრძვის ქარის წისქვილებს.

მის სიტყვას ფასი აქვს, რაკილა ეპითეტებს ნამდაუნუმ არ ისვრის და შეფასების დროს შეუვალი და უანგაროა.

ადვილად არჩევს ნამდვილ მწერლობას მწერლობა-სუროგატისგან.

შეუწყნარებელია სახელის განთქმის ჯიუტ მსურველთა „სიახლეთა არა სათანადო ადგილას მძებნელთა“ და დაუღალავ მჯღაბნელთა მიმართ.

მახსოვს, რა დღე ანია გამოგონილი, ყალბი იზმის – პოსტმოდერნიზმის მიმდევარ ერთ „ლიტერატურათმცოდნე“ ქალბატონს, რომელმაც „მთვარის მოტაცება“, „გვადი ბიგვა“, „ჯაყოს ხიზნები“ და „კოლხეთის ცისკარი“ უტოპიური ლიტერატურის ნიმუშებად გამოაცხადა.

ბელეტრისტული ხელწერით და მსჯელობის მხატვრულ-კრიტიკული სინთეზით გერონტი ქიქოძეს ნააგავს, მაგრამ ლიტერატურული პროცესების ფლობის გეოგრაფიით და მსოფლიოს ლიტერატურულ მწვერვალთა ცოდნის მასშტაბურობით თანამედროვე მწერლობაში სოსო სიგუას ვერავინ შეედრება.

რეცენზია კულტუროლოგია, როგორც აზროვნების მოდელი

სოსო სიგუა

I

„კულტუროლოგიის საფუძვლები“ მოიცავს ფუნდამენტური კვლევებს. სამეცნიერო ნაშრომი შეისწავლის კულტურას, როგორც რთულ და მრავალმხრივ საინტერესო სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, კანონებს და მექანიზმებს ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებთან მიმართებაში. ნიგნის სტრუქტურა სავსებით შეესაბამება მეცნიერის მიზანს, აჩვენოს მკითხველს, რომ „კულტუროლოგია ემყარება ანთროპოლოგიას, კულტურის ისტორიას, კულტურის თეორიას“. სამართლიანად თვლის, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ კულტუროლოგია და კულტურის ფილოსოფია, ისევე როგორც ენათმეცნიერება და ენის ფილოსოფია. საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და დავით აღმაშენებლის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლები“, ნიგნი I ეძღვნება კულტურის საკითხებს. ეს გახლავთ კულტურის გენეზისი“. 778 გვერდიან ნაშრომში განხილულია კულტურის ხუთი ძირითადი მიმართულება: „ბიოლოგიური საწყისი; ფანტაზია და რეალობა; ველურის ცნობიერება და აზროვნება; ინსტიქტების რეგულირება; კანიბალიზმი; კულტურის ფორმირება; ღმერთების ნება; სახელმწიფოს წარმოქმნა; ძალაუფლების ნება. ყველა ეს მიმართულება, მასში განხილული საკითხები კი, იძლევა უზარმაზარ ცოდნას და იქვე ახდენს ამ ცოდნის განზოგადებას, სინთეზირებას. ფაქტობრივად, ავტორი ზუსტ მიმართულებასაც გვაძლევს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოსო სიგუა, პირველ რიგში, ცნობილი მეცნიერი და მკვლევარია. ნიგნის შესავალში ვკითხულობთ: „კულტურას ქმნის მხოლოდ ადამიანი და მხოლოდ ადამიანს სჭირდება იგი“, ვფიქრობთ, პოლიტოლოგის ეს დასკვნა სავსებით მართებული. კულტურა არის ადამიანის მრავალსაუკუნოვანი აზროვნების შედეგი, ცხოველური ინსტიქტთა სახეცვლა და აკრძალვათა სისტემა, როგორც თვლიდა იმანუელ კანტი. აღნიშნულ ნიგნში, ნათლად ჩანს, რომ სოსო სიგუა იმ თვალსაზრისს იზიარებს, რომლის თანახმად კულტუროლოგია არის აზროვნების მოდელი, ისევე როგორც ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ესთეტი-

კა. მკვლევარი პოულობს უმნიშვნელოვანეს კავშირებს: რელიგიაში, ხელოვნებაში, ენაში და საერთოდ, ინტელექტის მოქმედებას, რითაც გამოეყო ჩვენი წინაპარი ცხოველთა სამყაროს და გახდა ღვთის ხატი. ავტორის არგუმენტირებული თვალსაზრისით კულტურა და ცივილიზაცია მილიონების, მილიარდების ტანჯვით, სისხლით არის მოპოვებული, განმტკიცებული. მეცნიერი დეტალურად მიმოიხილავს ადამიანის ეკოლოგიური განვითარების ბიოლოგიურ ასპექტებს, რომლის სისტემაში მოსაქცევად გეოლოგიური, არქეოლოგიური, კულტურული თვალსაზრისით გამოყოფს პერიოდებს. ავტორი ძირითადად ეყრდნობა ემპირიულ კვლევებს, მასალებს, მსოფლიო კულტურის უახლოეს მონაცემებს, აღნიშნულზე დაყრდნობით აკეთებს შესაბამის დასკვნებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, ფუნდამენტურ კვლევებში მოცემულია ძირითადი პრინციპები და კონცეფციები, რომლებიც საფუძვლად უდევს კულტურასა და მის განვითარებას, მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც გამოიყენება აღნიშნულ მეცნიერებაში. სახელმძღვანელოში მოცემულია, თუ როგორ არის დაკავშირებული ფუნდამენტური კულტურული კვლევები სხვა მეცნიერებებთან.

სახელმძღვანელოს მიზანია გააფართოვოს გაგება კულტურის როლის შესახებ. მკითხველს მისცეს ღრმა ცოდნა, თუ როგორ აყალიბებს კულტურა ადამიანის რწმენას, ღირებულებებსა და ქცევას. შესანიშნავი გზამკვლევაა სამყაროსა სხვებთან ურთიერთობის აღსაქმელად. ასევე გვეხმარება კულტურებს შორის განსხვავებებისა და მსგავსებების გარჩევაში, რაც ხელს უწყობს ტოლერანტობისა და კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებას.

სახელმძღვანელო ნათლად წარმოაჩენს ფუნდამენტური კულტურული კვლევების მიზნებს: კულტურას, როგორც ფენომენს, მის არსს, სტრუქტურასა და ფუნქციებს. აყალიბებს სისტემატურ და ყოვლისმომცველ მიდგომებს კულტურის შესწავლის მიმართ.

ფუნდამენტური კულტურული კვლევები ეხება კულტურის სხვადასხვა ასპექტის შესწავლას, როგორცაა ხელოვნება, რელიგია, ენა, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ნაშრომი წარმოაჩენს თითოეული ამ ფენომენის არსს, მახასიათებლებსა და მათ ურთიერთობას. ასევე კულტურის ისტორიულ განვითარებას, მის ცვლილებებსა და გარდაქმნებს დროთა განმავლობაში. აანალიზებს მასზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენას, როგორცაა სოციალური ცვლილებები, ტექნოლოგიური პროგრესი და პოლიტიკური

მოვლენები. განსაზღვრავს თუ როგორ აყალიბებს კულტურა ადამიანების ღირებულებებს, ნორმებსა და ქცევას და როგორ მოქმედებს ის სოციალურ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებზე.

ავითარებს ახალ მიდგომებს და მეთოდებს, რომლებიც კულტურული ფენომენების უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი შესწავლის საშუალებას იძლევა.

სახელმძღვანელო უნიკალური საშუალებაა კულტუროლოგიური აზროვნების ფორმირებისთვის: „კულტუროლოგიის საფუძვლებს“ ასევე აქვს ამოცანა კულტუროლოგიური აზროვნების ჩამოყალიბების სტუდენტებსა და მკვლევარებში. კულტურა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, კულტურული ფენომენების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარს, მათი მნიშვნელობისა და როლის გაგებას საზოგადოებაში. ფუნდამენტური კულტურის კვლევები მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა მეცნიერებებთან და მოიაზრებს ბევრ საინტერესო კვლევას. ის გვეხმარება უკეთ გავიგოთ კულტურა და მისი გავლენა ცხოვრებაზე.

აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კულტურა მიუხედავად მისი საკაცობრიო მნიშვნელობისა, მაინც კონკრეტული ერის მონაპოვარია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორს კულტურის გენეზისი ისტორიულ ვითარებასთან, საუკუნის პრობლემებთან მჭიდრო კავშირი აქვს განხილული. რაკილა კულტურის ფენომენი ეპოქის პრობლემებისგან განცალკევებით არ არსებობს, თითოეული საკითხი შესწავლილია თანამედროვეობის ზოგად და ლოგიკურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირში. როგორც საქართველოს სახალხო მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ნობელის პრემიის ნომინანტი, სტუ-ს პროფესორი და მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, გამოჩენილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე რევაზ მიშველაძე აღნიშნავს, „ბელეტრისტიკური ხელნერი და მსჯელობის მხატვრულ, კრიტიკული სინთეზით გერონტი ქიქოძეს ნააგავს, მაგრამ ლიტერატურული პროცესების ფლობის გეოგრაფიით და მსოფლიოს ლიტერატურულ მწვერვალთა ცოდნით, თანამედროვე მწერლობაში, სოსო სიგუას ვერავინ შეედრება. აღნიშნულს მხოლოდ ერთს დავამატებდი, სოსო სიგუა წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ფართო დიაპაზონის მეცნიერად და კულტუროლოგიის ურთულესი საკითხების ავტორიტეტულ მკვლევარად, იგი გამოგონების ოსტატია, ფართო ცოდნა და ინტელექტი, კულტურა, მას ამის საშუალებას ნამდვილად აძლევს. პროფესორ სოსო სიგუას ეს ახალი ნიგნი ვფიქრობ, წინ გადადგმული ნაბიჯია კულტუროლოგიის განვითარების გზაზე. იგი ჭეშმარიტად დაინტერესებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში ქართული კულტურის მიერ შეტანილი წვლილი.“

ჯემალ გაბელია პროფესორი

დიონისე არეოპაგელს ვამსგავსებ

რომ დამავალონ, დიონისე არეოპაგელი დამიხატო, თამამად წარუდგენდი მწერლისა და მეცნიერის სოსო სიგუას პორტრეტს და, დარწმუნებული ვარ, არც შევცდებოდი. მე იგი მართლაც მაგონებს ძველ ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს თავისი კოლოსალური ცოდნით, დიდი ნიჭით, ფართო ჰორიზონტით, კვლევა-ძიებებისადმი დაუცხრომელი მისწრაფებით, ანალიზის სიღრმითა და განზოგადების მასშტაბებით.

გადაშალეთ მისი ნებისმიერი ნიგნი, მონოგრაფია, გამოკვლევა, გადაშალეთ ნებისმიერ გვერდზე და ყურადღებით წაიკითხეთ: თქვენ გაგაცნობთ ნაირგვარ აზრთა სიუხვე, სიღრმე, ღალიან-წარაფიანობა. ვერ ნახავთ ვერც ერთ გვერდს, სადაც მსჯელობა უნიადაგო, ფუყე, შინაარსისაგან დაცლილი იყოს. ზოგიერთი ცნობილი აკადემიკოსის ნიგნს რომ კითხულობ, იქიდან ფუტურო ხისა და დაობებული ხავსის სუნი გცემს, აქ კი, ამ მოაზროვნის ნაწერებში, რუსთაველის ორბივით ბრუნავს და ტრიალებს ღრმა და მაღალი აზრები, მსოფლიო დონის და ზოგჯერ უფრო მაღალი საზოგადოლოგიკა.

ხშირად იმასაც გავუოცებოვარ, რასაც თვალნათლივ ვხედავ. ვხედავ კი ამგვარ საოცრებას: ზოგიერთ ხან მოდგმულ პროფესორს მთელი ცხოვრების მანძილზე რაც უწერია და გამოუქვეყნებია, უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე სოსო სიგუას ნებისმიერი სამეცნიერო ნიგნის ცალკე აღებული ერთგვერდიანი მსჯელობა.

და მე ზოგჯერ კიდევაც მეცოდება ეს დიდი ტალანტი, მეცოდება, როცა ვხედავ, როგორ არჩევს და აანალიზებს რომელიმე წვრილფეხა პოეტის ან მეპროზის ნაჩირთიფირთევს.

წარმოიდგინეთ საწყალობელი სურათი: პანია ბაღჩას, ასევე პანანუნა ბარუქელათი დასაბარავს, უზარმაზარი ბულდოზერი მისდგომია, ხნავს და აღნიშნებს.

დიახ, ჩიტი ბრდღვნად არა ღირს, რომ მას ზარბაზანი ესროლო.

მეამაყება, რომ თანამედროვე დიონისე არეოპაგელის თანაკურსელი, თანასტუდენტ-ლაქელი, თანამეოთახე და მეგობარი გახლავართ.

ახლა ვრწმუნდები: არ-ცუდად დამინერია!

რაც დრო გადის, ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო მიმტკიცდება და მიმყარდება. ამის საფუძველი და პირობა მწერლისა და მეცნიერის მოცულობით დიდი და ხარისხით დიდფასი შემოქმედებაა.

მურმან თავდიშვილი



ნიკოლოზ კურტიანიძე

ლეგენდა გალაკტიონისა

რაც აწვალდა გალაკტიონს ჩვენთვის რომ ეთქვა. ჯერ ისევ ბავშვი ასულა ღმერთთან:

„ღმერთო! მომეცი მე უნარი ფიქრის და ტანჯვის, უსიტყვოდ ვიგრძნო სატკივარი მშობელი ხალხის.

ვიგრძნო ფოთოლთა, ვარდყვავილთა სუნთქვა და ფიქრი, ლურჯა ცხენების სიგიჟე და უზომო ტვირთი,

ტვირთი რომელიც მარტოობას აწვება მხრებზე. ნაბადნამოსხმულს რომ ამიყვანს მალა მთის წვერზე.

ჩამოვაცოლებ ცრემლებს ნადენს მთის ნაკადულებს, ჩემი ხალხისთვის რომ დამადნობს, რომ ამაღულებს.“

მომიციანო, ღმერთს უთქვია სულ ყველა ერთად, ოჰ, და! დაბრუნდა გალაკტიონი ლექსების ღმერთად.

რასაც შეხედა ყველაფერის ესმოდა სუნთქვა ხმა იდუმალი ესმოდა და დანერა - სულ თქვა.

ბევრი ვერ მიხვდა, ვერ გაიგო – იგრძნო პოეტმა დარდი მას გულზე ღრუბელივით გარს შემოედვა – და გადმოეშვა სიმალიდან ვით ანგელოსი.

სჯეროდა ვარდის, ყვავილების ტურფა მდელის დატოვა თავის პოეზია - ოცნება ჩვენთან თვითონ ამაღლდა, ღმერთის იყო, ნავიდა ღმერთთან.

„ნეტავი გალაკტიონს“ 9 აპრილის გამო

გული ჰქონდაო უსათნოესი, თუმცა ეტოლებოდა კავკასიონს... ხომ დასჭირდებოდა ტივი ნოესი... ნეტავი გალაკტიონს!

სწამდა და ქუხდა: – „დროები ჩქარა“ კრძალვით გახედავდა – ამაყი სიონს, დროები?! კი ბატონო! ავნიეთ მარა... ნეტავი გალაკტიონს!

ცაში აჰყავდა ქებით ნიკორწმინდა, ფიქრებს ანდობდა მტკვარსა და რიონს, მთვარეს ეტრფოდა, ლანდებს კოცნიდა... ნეტავი გალაკტიონს!

ძნელია რწმენა დაკარგო სრულად, არჩეულ ვარსკვლავს ურწმუნოდ სდიო. ძნელია, ძმა ძმისთვის მოჩანდეს მტრულად... ნეტავი გალაკტიონს!

მე და ხალხი

ამ ქალაქში არის ხალხი ხალხი არის მიღეთის არის ცუდიც, არის კარგიც ასეთიც და ისეთიც.

ზოგს ვიცნობ და ზოგი მიცნობს ზოგმა ფერი იცვალა, ფერი რაა ან სამოსი კანიც გამოიცვალა.

სავარძლიდან სავარძელში, როგორც რწყილი ხტუნაობს თან ამაყობს: „შემომხედეთ სკუპი როგორ უნდაო“.

ეს კი არის საქმეს კვალი არასოდეს აჩნია. კმაყოფილი იმით არის, რომ იტყვიან „კაცია“.

ზოგი შორს დგას, ასე რომ ვთქვით მე არაფერს მიფუჭებს, მაგრამ მისი არსებობა მაინც არის სიცუდე.

ზოგი კიდევ მე პირადად არაფერს არ მიკეთებს, მაგრამ მისი არსებობა მაინც არის სიკეთე.

ზოგიერთი დიდ სიკეთეს იმდენ მწარეს დააჭრის. აბათილებს მწარე ტკბილს და გემო არ აქვს არაფრის.

მტრად არასდროს არავის ვთვლი - თავისუფლად ვმღეროვარ, რადგან ვიცი მტერი თუ მყავს, მე თვითონაც მტერი ვარ.

სიმშვიდე ალბათ ღმერთისგან არ მიაპტიება

დილით დავჯდები მანქანაში, ცხრა საათია. მზე პორიზონტზე კოცონივით უკვე ანთია.

იძვრის მანქანა, შეერევა ქუჩას სიცოცხლე, რაღაც მაკლია, რა მაკლია ნეტავი ვიცოდე.

რა მაკლია და უსათუოდ ფეხის გამართვა, გაჩერებაზე, ჩამორთმევა ხელის ძმაკაცთან.

გამოკიდება ქუთაისურ ზუზუნა ქართან. მე ამ მანქანამ რაღაც მომცა, რაღაც წამართვა.

ოთახში შევალ დავამყარებ ციფრებთან კავშირს და ისე ვზივარ როგორც კარგი დამჯერე ბავშვი, დადულდება და დადინჯდება თითქოს სიცოცხლე, რაღაც მაკლია, რა მაკლია ნეტავი ვიცოდე!

კვლავ იწყება უსასრულო ძებნა-ძიება სიმშვიდე ალბათ ღმერთისგან არ მეპატიება.

და ანთებულა მთის წვერზე ჯვარი

და ანთებულა მთის წვერზე ჯვარი რატომ მაქვს ნეტავ ამ ქვეყნის ჯვარი?! რომელი გმირი გახლავარ ნეტავ ხმაღს მოვიქნე, თუ რკინასა ვკენეტავ?

რამდენჯერ უკვე გავიმეორე გვინდა მესია და ამირანი, მე არც ერთი ვარ და არც მეორე... დღეს ჩემი ტოლიც არავინ არის.

ყველას ცალ-ცალკე აღრჩობს წადილი მარტომ წაიღოს გოლგოთას ჯვარი, დასჩემდათ ჯიბრი და ცრუ ქადილი თითქოს წამდელი მესია არის.

ხვალის იმედი მარგუნა ღმერთმა მოვა იგი ყრმა დასწყევტს არტახებს და ცრუ ქადილის წარმდენელი დელგმა ქვეყანას აღარ გააპარტახებს.

ბედნიერი ვიქნები

ვფიქრობ ბუდე გავადიდო ისე რომ არ დაინგრეს, კედლები შორს გავუწიო საარწივეს, საჯიხვეს.

ერთ ბუდეში ვაკაკანო, ერთ ბუდეში დავზარდო მარტოვები საარწივო საჯიხვე და სახარო.

ერთი დიდი ბუდე დავწნა - ლერწმინანი გავთელო, ერთ ბუდედ გადავაქციო ეს მთელი საქართველო.

ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ გზას მიზნისკენ მივყვები. ყოველი დღე სავსე არის ოცნებით და ფიქრებით.

თუ დავზარდე ხომ კარგია არწივები, ჯიხვები, მაშინ ხალხო საფლავშიდაც ბედნიერი ვიქნები.

კაცი

1. ბილიკზე მიდის სულ მარტო, არ იცის ფიქრობს თუ დარდობს, ტანში რომ ამტვრევს რაღაცა ეძახის: „ოხერო დამაცა“.

ჩურჩულებს დროსა და სივრცეში „ცხოვრებას ნეტავ რა მივეცი სივრცეში?! - ნამდვილად რომ მოჩანს დრო კი მაყენებს ორმოსთან.

სახეზე ნაოჭი გამიჩნდა თავზე თმა სულ აღარ დამიჩნა“ და გულზე კვლავ გაკრა რაღაცამ, „ო, ღმერთო! ცოტახანს დამაცა.

ყოველ დღე ხომ მიგაქვს რაც მიგაქვს ვიცი დრო არც მე დამიცავს“, და მიდის კაცი სულ მარტო არ იცის ფიქრობს თუ დარდობს...

2. შეალო კარი, შემოხვდა სითბო, პატარა გოგო ბაბუას ითხოვს

მიეკრო ისე, როგორც პეპელა ბევრი კოცნა და ბევრი ეფერა.

3. ფერიასავით ტიტინებს, მინდორი გადაირბინეს, და წითელქუდას ზღაპრით შემოიარეს მთა-ბარი.

4. ძველი ფიქრის და დარდისა ცოტათი კი დაერცხვინა, როცა გოგონას მის მკერდზე ანგელოზივით ეძინა.

რისი ტკივილი, რა ძილი დარდები სადა სწერია, მძინარ გოგონას რომ ხედავს უსაზღვროდ ბედნიერია.

სსოვნის ყვავილები 9 აპრილს დაღუპულებს

საქართველოს მზისთვის ბრძოლით გავიზრდები, – არასდროს მოგაკლოთ სსოვნის ყვავილები.

საქართველოს მკერდზე ვინ მოაწყო კაცთკვლა, ვინ, ვინ გადანყვიტა ჩვენი ასე დასჯა?!

რომ იცოდე ღმერთო! ოი! როგორ მიჭირს, მტერი „გამოვიცნო“ ამ ტანჯული მინის.

ხმალი ვის შემოვკრა ის ვიცოდე ნეტავ, სადაც გავიხედავ, მხოლოდ „სიცილს“ ვხედავ.

მასში სხვა რა არის ირონიის მეტი, – მტერს თავი უქნო დაცინვაა ბედის.

საქართველოს მზისთვის ბრძოლით გავიზრდები, არასდროს მოგაკლოთ სსოვნის ყვავილები.

უდაბნოში ვიქნებ ყვავილს 9 აპრილის გამო

სისხლძაღვები დაიძაბა, ნერვი წინკნის გულის ძგიდეს, ვერ ვიცოცხლება ასე, ძამა, ამ ცხოვრების გადამკიდე.

სისხლი, ცრემლი, გლოვის ზარი, მოფრიალე შავი დროშა, დაეხურა ზეიმს კარი, გული ერთობ გაითოშა.

წუთისოფლის სიმუხთლე და საყვედურის თაიგული, კიბეები, აღმართები, გზები – სველი, გალიპული,

–ნეტავ, როგორ ავიარო ბნელში ვეძებ ნათელ წერტილს, უდაბნოში ვეძებ ყვავილს სულ პატარას–წელგანყვეტილს,

მწამს ვიპოვი, გავზრდი სათუთს, სველ გზაზედაც გამაბარებს, გულს გამითბობს ცივს და ტანჯულს ისევ ისე გამახარებს.

მასთუმყული

მასთუმყული - თურქმენული პოეზიის კლასიკოსია. მას დაბადებიდან 300 წელი უსრულდება. წერდა აგრეთვე ფირადის („ყარიბი, ეული, ურველი“) ფსევდონიმითაც. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში. დაბადება-გარდაცვალების წლები უცნობია.

იგი უალრესად საინტერესო პოეტიკა - წმინდა ლირიკასთან ერთად მოეპოვება საყოფიერო, დიდაქტიკური და, განსაკუთრებით, დიდი პატრიოტული მუხტის შემცველი, მოქალაქეობრივი გამბედაობით აღბეჭდილი ლექსები, სადაც სოციალური უთანასწორობისა და აღზევებული უსამართლობის კრიტიკით, ერთმანეთის ძარცვა-გლეჯაში გართულ თურქმენ ბეგებს მოუწოდებს, გაერთიანდნენ და საერთო ძალა მიმართონ უცხოელი დამპყრობლების (ამ შემთხვევაში - ირანის) წინააღმდეგ.

თარგმნა მაცყალა გონაშვილმა

ჟამი ნათელი

დაქორწინდი

ზეცა ნადირობს, გაუშლია სხივთა ქამანდა, და რახანია მენატრები, ჟამო ნათელი, მე განშორებით ავადა ვარ, ძლიერ ავადა, დაგეძებ, სად ხარ, ვერ გპოულობ, ჟამო ნათელი.

თუკი გინდა, ახალგაზრდავ, რომ უდროოდ ჩამობერდე, მაშინ ადექ, იქორწინე, უიღბლობა დაიბედე.

უკვე ორმოცის გავხდი, თასი აივსო ცრემლით, ურწმუნობამ მე სენივით დამრია ხელი, ტირის იმედი გალეული, ზაფრანის ფერი, სადა ხარ ნეტავ, ვერსად გპოვე, ჟამო ნათელი.

თუ გსურს, სიჭაბუკის ვარდი, გაგიხმეს და ჩამოგიჭკნეს, თუ გსურს, თმები დაგეთოვლოს, აღარ გავდე შენს ძმა-ბიჭებს.

თუ გსურს, მორჩილ ვირსა ჰგავდე, ტვირთით ზურგი გაგიტყავდე, ადექი და, იქორწინე, გეყო, ნულარ ფიქრობ ამდენს.

ვერ უპოვია ხალხს მშვიდობა და მოსვენება, დაძრწის ქუჩაში, როგორც ძალი, მძიმე დროება, ილოკავს თათებს, არეგია მშიერს გონება, სადა ხარ, გეძებ, ვერ გპოულობ, ჟამო ნათელი.

შვილი დაბრკოლებაა და ცოლი კიდეც, ბორკილია, ყველაფერი კარგად ვიცი, ეს დუნია მომივლია.

უდარდელი გაზაფხული, თუ გსურს, ზამთრით შეგეცვალოს, ადექი და იქორწინე, ნუ ყოყმანობ, ნულარ წვალბო.

ცეცხლის გემო აქვს ღარიბისთვის მიგდებულ ლუკმას, ვედრებით ცისკენ აღუმართავს სანყალს ხელები, ჯაგლაგი ცხენი რემას მუდამ მიჰყვება უკან, დავდივარ, გეძებ, ვერ გპოულობ, ჟამო ნათელი.

თუკი გინდა, რომ გაიგო, რაა კარგი და რა ცუდი, რომ შეიგრძნო ყოფის შხამი, დაქორწინდი, რაღას უცდი.

თუ გსურს თვალში ჩაქრეს სხივი, ეკლად გექცეს ტრფობის ვარდი, ადექი და იქორწინე, ანუ, წყალში გადავარდი.

ამაოება და უმიზნო, ფუჭი ფუსფუსი, მსოფლიოს ისე მოსდებია, ვით სარეველა, წყურვილმა ოქრო-ვერცხლის როგორ შეიპყრო ყველა, ნეტავ სადა ხარ, ვერ გპოულობ, ჟამო ნათელი.

ფირაგი ვარ, ბევრი სევდა, სიხარული - მერგო მცირე, თუ წინაპრის გზას მიჰყვები, უსათუოდ იქორწინე.

ნუ განეშორება

მოლებმა ჩემი არ ისმინეს ჭეშმარიტება, ის, ვინც ცრუობდა, შეაქვს და დაასაჩუქრეს, მე კი სიმართლით გინდ ვალამო, გინდა ვათენო, არავინ მისმენს, შენც ჩამიქრი, ჟამო ნათელი.

უცხო მხარეში ბედნიერად იცხოვრო თუნდაც, მშობლიურ მიწას ნურასოდეს განეშორები, ნუ დახარბდები კაკაბივით საკენკს, მახეში გაგაბამენ და ცის ლაჟვარდებს განეშორები.

თავად მოძღვარნიც ავსებულან მიწიერ ცოდვით, იფიცებინ, რომ ალაჰმა ასე ბრძანაო, წრთვნიან შეგიღრდებს არაკაცად, ვდაობ ამოდ რად დამიღამდი, ყორნისფერად, ჟამო ნათელი.

კაცი ფასდება სიკეთით და არა ქონებით, მებრალეებიან გულხარბნი და ფულის მონები, იყავ მდიდარი, მოიხვეჭე ოქრო და ვერცხლი, ოლონდ მიწიე სიხარულს ნუ განეშორები.

მასთუმყულ შენი ენა არის მახვილი, ცეცხლი, ვინ სთქვა დუმილი ოქროაო, სიტყვა კი - ვერცხლი, თუ დაგემუქრენ ავყიები სიტყვის დიდოსტატს, ნადი ინდოსტანს, იქნებ ჰპოვო ჟამი ნათელი.

რამდენ კაცს ვიცნობ, შენს სუფრაზე კარგად მოილხენს, ნავა და სხვასთან გაგიხსენებს ლიქნით, ჭორებით, სიტყვით ის შენი ერთგულია, საქმით - ორგული. ერთგულ მეგობარს ნურასოდეს განეშორები.

მათხოვარის და უქონელის სულს მეფობა სურს, და უნიგნური კაცს აფასებს მხოლოდ ქონებით, არ დაივინყო მრჩეველი და მოძღვარი შენი, ვინც გაზიარა ცოდნას, მას ნუ განეშორები.

ზოგი ღარიბი იქნება და ზოგი მდიდარი, გააქვს სანუთრო ყველას თავის წესით ცხოვრების, მასთუმყულ, ქვეყნად რაც კი ხდება, ენის გამოა, იყავი ხალხთან, მათ ხსოვნას ნუ განეშორები.

დოვლეთალი

გაგიგია, თუ ვინ იყო, დოვლეთალი, მითხარ ერთი, ურწმუნოთა რისხვა იყო, სუნიტათათვის - სხივთა სვეტი, არ ისმინა ვინაც მისი ქადაგება, იყო რეტი, დუნიაზე განთქმულია, სხვა რაღა ვთქვა ამის მეტი.

სიტყვა მისი ოქრო იყო, ქადაგება იყო ბრძნული, მის იმედად იყო ბევრი უპოვარი, დაჩაგრული. დღეს სახელი გმირთა-გმირის ლეგენდად და დარჩა მითათ. როცა მტერიც პატივს სცემდა, მოყვარეზე რაღა გითხრათ.

ბევრი ქვეყანა დალაშქრა, მუხლში ჩაიყენა ქარი, არაერთხელ ასახელა თურქმენეთი დოვლეთალიმ. მაგრამ ბედი ცბიერია, სიკვდილს დაუდგება თვალი, გაზაფხული წელს უშენოდ შემობრძანდა, დოვლეთალი.

გულუხვი და ხელგაშლილი გაჭირვებულს ედგა მხარში. ჩიტი მისი გამოზრდილი არწივს გაასწრებდა ცაში, ცხრა დარაზულ კარს გახსნიდა ბრძნული სიტყვა, რჩევა მისი ვინ აწონოს კაცის მაღლი, რა დიდია დანაკლისი.

შეიკრიბნენ დიდებულნი, ამყენი და გულზვიადნი, ყველა დასტირის ქვეყნის თვალს უჩინო თუ ჩინიანი. გლოვობს ქარი, კვენისის ქარი, დოვლეთალი, დოვლეთალი.

გლოვის ცეცხლი ადნობს ყინულს, დარდით ბარბაცებენ მთანი, მზის აღმასმა ცა დანერა, ზეცას ამოუშრა თვალი, ვარსკვლავეთში გადასახლდი გმირთა გმირი, დოვლეთალი.

ურიცხვ ჯარს წინ მიუძღვოდი, გულმამაცი ალამდარი, სხვა არავინ ახსოვს ჩვენს ხალხს, შენი მსგავსი, შენი დარი, თავს სწირავდი მოძმისათვის, მოყვასისთვის კარგის მდომი, მაგრამ ფიცხელ ომში მუდამ სისხლისმსმელი იყავ ლომი.

სამოთხემდე მიაღწია ხალხის ლოცვამ და ვედრებამ, რომ უყურო ქალთა გლოვას, კაცს სიკვდილი მოგიწდება, დოვლეთალის გზა და კვალი ცამდის ადის, არის წმინდა,

მაგრამ თავად გმირთა-გმირი სად ვიპოვოთ, სად წავიდა?

თვით ბუნებაც გლოვობს თითქოს, მწუხარეა ჩვენი ხალხი, დოვლეთალის შავრა ცხენი მიწას ტორებს მწარედ ახლის, ისმის გლოვა, ვაი-ვიში, დოვლეთალი! ტირის ყველა და საავდრო ღრუბლის ჯარმა ზეცა მრუმედ გადაფერა.

მასთუმყულო, მსოფლიოში მისი ტოლი სხვა ვინ არის. მტრისთვის იყო მახვილი და სამშობლოსთვის იყო ფარი, თურქმენეთი იყო მისი სალოცავი, საფიცარი. მისთვის ვტირი გულდამწვარი: „დოვლეთალი, დოვლეთალი...“

ჩოვდურ ხანო

ჩოვდურ-ხანო! მოგელიან იომუდი და გოკლენი, კითხულობენ: - ხანმა იქნებ კარავს მოაგელვა ცხენი? გაიხედეთ, ვინმე მგზავრი ბანაკში ხომ არ მოსულა? მოლამ ლოცვა რახანია, ალავლინა, დაასრულა.

თეთრი მტრედი ააფრინეს, ვერსად გპოვა დაკარგული, მოგიქარგეს პატარძლებმა ხალათები აბრეშუმის. ხან მდინარეს ჩასძახიან, ხან ხევ-ხუვებს: - სადა ხარო? სულ ამოდ გელის ყველა, სულ ამოდ, ჩოვდურ-ხანო!

ცაზე წითლად რომ ანათებს, მენამული მარიხია, ირგვლივ ჯანლი გაფანტულა, კარვის კარი მოჩანს ღია, კივის ქარი: - ჩოვდურ ხანო! ნუთუ შენ არ გაგიგია? მწყემსმა მიატოვა ფარა, ამოვიდნენ თევზნი წყლიდან, გადაყვითლდნენ ბალახები კვენსა მოისმოდა ციდან.


დედამინა ტირის ცოდვით: - ჩოვდურ ხანო, ჩოვდურ ხანო. სოვდაგრებმა დაივიწყეს გრძელი გზები, ფული, განძი, ჩამობნელდა ცა და მიწა, ხალხი შეიმოსა ძაძით, აღარც ნამი მოციავე, აღარც სხივთა ათინათი, ჩოვდურ-ხანო, გეგებება ფერნაკლული განთიადი.

ყველა გცნობდა, თაყვანს გცემდა, იყავ ფარი - გაუზბარი, ავ-ბედს მაინც ვერ გაექეცე, ყველას დაგვეცი თავ-ზარი, ინდოსტანიდან მოვიდნენ, გიგონებენ სახელიანს, შენ, რჩეულო, ჩოვდურ-ხანო, სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს. შვილდს ისარი მიეყინა, დრო გაქვავდა, გაირინდა,

ერთხელ კიდეც გაგიძიხი, მეტი არაფერი მიწა, მიწა, შენი სიმამაცით თურქმენები გაახარო, გთხოვ, სიკვდილი დაამარცხე, უძლეველო ჩოვდურ-ხანო. მასთუმყულო, დედამიწას ამცნე საქმე საარაკო, რომ სახელი ლომგულ ხანის, ადიდოს და ყველამ აქოს,

რომ ლოცვებში მოიხსენოს ჩოვდურ-ხანი ჩემმა ხალხმა, თუკი რამე შეუცოდავს, აპატიოს მას ალაჰმა.

აღსრულდა!



ამ გამოცემას ქართველი მკითხველი ორი საუკუნე ელოდა. XIX და XX საუკუნეების პრესაში არაერთხელ გაკრთა ნატვრამის შესახებ, რომ სასურველი იყო ქართველ მკითხველს

მისცემოდა შესაძლებლობა თავიდან ბოლომდე წაეკითხა დიდი სპარსული ლიტერატურის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის ფირდოუსის „შაჰნამე“.

ისტორიის საცრის საეჭვო დგანდგარის გამო საქართველოსთვის კარგა ხანს ჩაიკეტა სპარსეთისკენ გაჭრილი პოლიტიკური და კულტურული მინარეთები. საბჭოეთის კირთების ქვეშ მგმინავი საქართველოსთვის სპარსული კულტურა ლამის მიუწვდომელი გახდა. არადა, მთელი შვიდი საუკუნის განმავლობაში ქართულ კაზმულ სიტყვას სპარსული იერი დაჰკრავდა, „სპარსული ენის სიტკბომან მსურვა მუსიკობანიო“, პოეტი რომ წერს, ამ სტრიქონს რა ამრეზითაც უნდა შევხედოთ მასში ჭეშმარიტების მარცვალ მანც ღვივის.

ისე, როგორც მთვარის ათინათს ხელის მიფარებით ვერ ბნელჰყოფ, ასევე შეუძლებელი იყო აღმოსავლური ფილოსოფია და კულტურა ენერგიულად მოგეწყვიტა საქართველოსთვის.

ქართული ფოლკლორი და მხატვრული ლიტერატურა საუკუნეთა განმავლობაში ისრუტავდა გენიალურ „შაჰნამეს“, ისრუტავდა ხან ლეგენდაქცეული პასაჟების სახით, ხან პროზაულად და ხან პოეტური ნაწყვეტების ფორმით. ფირდოუსის არაოფიციალური აღიარება იყო აბა, რა იყო, რომ არამარტო უბრალო ერისკაცებს, არამედ ქართველ მეფეებსაც „შაჰნამედან“ გადმოკეთებული სახელები ერქვათ.

ბელა შალვაშვილმა, როგორც თვითონ ბრძანებს, 50 წლის წინ მოკიდა ხელი ფირდოუსის „შაჰნამეს“ გენიალური 50-ტომეულის თარგმნას. თვითონ გენიალურ ფირდოუსს, 50 სახელოვანი მეფის ამბის თხრობას რომ შეუდგა, შემწე და წინამორბედი ჰყავდა, რომელმაც, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, „შაჰნამეს“ ერთი ნაწილი დაწერა.

გაოცებას ვერ ვმაღავ, როცა წარმოვიდგენ, რომ უნივერსიტეტის ახალმა კურსდამთავრებულმა კაფანდარა, შავტუხა კახელმა გოგომ ბელა შალვაშვილმა რა ტიტანური ტვირთი შეიგდო თავის სუსტ მხრებზე. ეს გააკეთა მარტოდმარტომ, ყოველგვარი წახალისების და გამოცემის იმედის გარეშე.

50 წელმა ბედისწერასავით სწრაფად გაიბრინა და ზის ახლა 80-ს გადაშორებული ბელა შალვაშვილი უპირველესი მთარგმნელის სავარძელში, მას დიახაც, დამსახურებულად ადგას უზადო მეფე მთარგმნელის სხივოსანი გვირგვინი თავზე და ჩვენგან სრულიად სამართლიანად და პრეტენზიულად ითხოვს სათანადო დაფასებას.

მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებთა თარგმანებით ქართული ლიტერატურა განებივრებულია. სხვადასხვა დროს

სხვადასხვა სტილით და დედნისადმი ზოგჯერ არქაული, ზოგჯერ კი ზედმინუნენით სადა დამოკიდებულებით თარგმნიდნენ კლასიკას. ხომ სწორუპოვარია შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები, მაგრამ ალაგ-ალაგ მაჩაბლის ხელში შექსპირს თეატრალიზებული ელფერი დაჰკრავს. ხომ ბრწყინვალეა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“, მაგრამ ბატონი კონსტანტინეს თარგმანი ალაგ-ალაგ დამძიმებულია ძველი ქართულის ატრიბუტებით („გარნა, ვითარცა, მუნ“ და ა. შ.)...

ბელა შალვაშვილმა კი ისე, რომ მისთვის არავის უსწავლებია და არავის დაუძალბებია, თვით იპოვა ფირდოუსის თარგმნის სრულიად ახალი გზა. თარგმნო მოცულობით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოები თანამედროვე ქართული ლექსით, დამეთანხმებით, ეს ურთულესზე ურთულესი საქმეა. ასევე, თანადროული ლექსწყობით მყავალა გონაშვილმა დიდებულად თარგმნა XI საუკუნის ყირგიზული ეპოსი „მანასი“. შენ, მთარგმნელი თვით უნდა იყო გამოცდილი პოეტი და ქართული უნდა გიჯერებდეს აი, სწორედ ისე, როგორც ბელა შალვაშვილს უჯერებს. გადავშალოთ თარგმანის ნებისმიერი გვერდი:

„ხანი გამობდა, არვინ არღვევს სიმშვიდეს სოფლად, მაგრამ უმზადებს ბედი თურმე ავბედით ყოფას, სიბერემ ფრიდონს თანდისთანად დაუნყო ხმობა, ნელინელ უწყო გაზაფხულის ყვავილმაჲც ჭკნობა. ეტყობა ჟამი ამდაგვარი ყველასთვის დგება, სიბერის მიერ უძლურებით ბრმა ცეცხლის დება“. და ა. შ.

სამწუხაროდ, საგაზეთო წერილის ფორმატი არ მაძლევს თარგმანის შრეებში უფრო მეტი მეცნიერული წვდომის და ბელა შალვაშვილის სამემსრულელო ოსტატობის გამოწვლილვით დახასიათებას.

დასასრულ ერთს დავძენ, მთელი საქართველოს და პრეზიდენტთან არსებული რუსთაველის პრემიების კომიტეტის წევრთა გასაგონად:

ბელა შალვაშვილს ფირდოუსის „შაჰნამეს“ სრული თარგმანისთვის უსათუოდ და უშეღავათოდ უნდა მიენიჭოს რუსთაველის პრემია.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის
პრემიის ლაურეატი

„შაჰ-ნამეს“ სრული თარგმანი

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, 104 000 სტრიქონისაგან შემდგარი გრანდიოზული პოემა-ეპოპეა 1 000 წლის წინათ დაიწერა. იგი „ვეფხისტყაოსანთან“, „ვისრამიანთან“, „ლეილ-მაჯნუნთან“ ერთად XIII საუკუნიდან განსაზღვრავდა ქართულ ესთეტიკას, აყალიბებდა რომანტიკისა და გმირობის კულტს.

ამ პოემის პერსონაჟთა სახელები ერქვათ ქრისტიან ქართველ ვაჟკაცებს, რომლებიც სწორედ მუსლიმანურ აღმოსავლეთს ეომებოდნენ (გივი, ზაალი, ფრიდონი, როსტომი, ბეჟანი, ქაიხოს-

რო, ზურაბი, რევაზი, მერაბი, როდამი, ქეთევანი, თეიმურაზი, უშანგი, ლუარსაბი, მანუჩარი, გოდერძი) და ამ ომებში იხოცებოდნენ.

რუსთაველის ერთ-ერთი შთაგონება იყო „შაჰ-ნამე“. მაგრამ ძველ საქართველოში მისი პოპულარობის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ამ პოემაში ასახულია ირანელთა მითოსურ-ისტორიული გმირები და პერიოდები, ვიდრე ისლამს დაემორჩილებოდნენ, დეჰყანების ჰეროიკული წარსული.

მიუხედავად ამისა, „შაჰ-ნამე“ მთლიანად არ ყოფილა თარგმნილი. თარგმნიდნენ ცალკეულ ნაწილებს („როსტომიანი“, „ბეჟანიანი“, „ფრიდონიანი“), რომელთაც რუსთაველის ძლიერი გავლენა ეტყობათ.

განსაკუთრებით პოპულარული იყო „როსტომიანი“ (მთარგმნელები - სერაპიონ საბაშვილი, ხოსრო თურმანიძე), თავისუფალი თარგმანი, გადმოღებული რუსთაველის ლექსით.

მხოლოდ ჩვენს დროს, ჩვენს თვალწინ ითარგმნა „შაჰ-ნამეს“ სრული ტექსტი. ეს დიდი და გმირული საქმე შეასრულა პოეტმა ბელა შალვაშვილმა.

ბელა კარგი პოეტიცა, ახალი სპარსული ენის (ფარსი) მცოდნე, პატრიოტი, სიმართლისათვის დევნილი, ამ დევნილობის ჟამსაც რომ „შაჰ-ნამეს“ თარგმნიდა. ლექსისა და სამშობლოს სიყვარულმა შეაძლებინა ამ პატარა ქალს ასეთი დიდი საქმის დაწყება და დასრულება, რაც მრავალი წელი გრძელდებოდა.

ბელა შალვაშვილმა უარყო ძველი ტრადიცია, რომ ფირდოუსი უნდა გადმოელოთ 16-მარცვლულნი რუსთაველური მეტრითა და კატრენული სტროფით. მან დედნის მიხედვით თარგმანი გამართა ყაზალით (ორტაქეპედი) და ბესიკური 14 მარცვლედით.

სწორედ ეს არის მთარგმნელის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა.

ორტაქეპედი სიმსუბუქეს ანიჭებს ტექსტს, რათა შევძლოთ ორიენტირება ჩვენთვის უკვე გაუცხოებულ გარემოში და დავიხსოვოთ ამდენი პერსონაჟის სახელი, ამდენი ტოპონიმიცა.

ბესიკური საზომით არის თარგმნილი შექსპირის ტრაგედიები, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტი.

ეს ახალი დროის ტრადიციაა, რომელიც წარმატებით გააგრძელა ბელა შალვაშვილმა ჩვენ ხელთ გვაქვს ცხრა ტომად გამოცემული ფირდოუსის პოემა, თარგმნილი ჩინებულად და ასევე ჩინებულად გამოცემული კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით.

ეს არის არა მხოლოდ ბელას, არამედ ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი ოცნების აღსრულება!

სოსო სიგუა

„შაჰ-ნამეს“ სრული ტექსტი ქართულად

ჰაქიმ აბულყასემ ფირდოუსი თუსი – ასე ეწოდება დედაამინის ერთ-ერთ უდიდეს პოეტს, რომლის მრავალტომიანი პოემა „შაჰ-ნამე“ დიდი ხანია იწყობს კაცობრიობის ყურადღებას. ჯერ არ დაბადებულა მეორე ავტორი, რომელსაც ესოდენ ვრცელი გენიალური თხზულება დაენეროს!



მსოფლიო მნიშვნელობის სპარსული კულტურა ამ ქვეყნის მეზობელ საქართველოზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. ლიტერატურულ-ენობრივი ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის საოცრად ინტენსიური გახდა რუსთაველისა და თეიმურაზ პირველის ეპოქებში. შემთხვევითი როდია, რომ ფრიად ნაციონალური პოეტი, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი და სპარსული დამპყრობლური პოლიტიკის უებარი მონინააღმდეგე თეიმურაზ პირველი გამოტყვევდა ალი-არეზი: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო!“

საუკუნეთა წილ ატკობდა ქართველ კულტურას მებობელი ერის დიდი პოეზიის სიტკბო. იქნებ ამანაც კი განაპირობა ის, რომ ქართული ლიტერატურის პოეტურმა ფრთამ დიდად გაუსწრო და ერთგვარად კიდევაც დაჩაგრა პროზაული ფრთა.

ასეა თუ ისე, ფაქტია: ქართულმა ენამ სპარსულიდან 3000 ლექსიკური ერთეული შეითვისა;

ქართველები ისე ყოფილან გატაცებული „შაჰ-ნამით“, რომ დიდი სიამოვნებით არქმევდნენ თავიანთ შვილებს ამ პოემის გმირთა სახელებს. სწორედ ამიტომაც გვყავს ამდენი როსტომი და ზურაბი, ზაალი და გივი, გოდერძი და ნოშრევანი, მანუჩარი და ლუარსაბი, თეიმურაზი და მერაბი...

არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ პოემის მიხედვით შეიქმნა ჩვენში მეტად პოპულარული ვერსიები: „როსტომიანი“, „ფრიდონიანი“, „ზააქიანი“...

არც ისაა შემთხვევითი, რომ თითქმის დასაწყისშივე პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ახსენებს „შაჰ-ნამეს“ უდიდეს გმირ როსტომს და ქართულ ეროვნულ ეპოსს თავიდან ბოლომდე გასდევს სპარსული პოემის ერთგვარი რემინისცენციები.

ევროპის ყველა კულტურულმა ერმა საკუთარ ენაზე ააფლერა გენიალური შედევრი. ამ მხრივ ჩვენს ხალხს არავისთვის ტოლი არ დაუდვია – იგი ჯერ კიდევ XII საუკუნეში იცნობდა ამ ქმნილებას, ანუ მაშინ, როცა აღნიშნული მონინავე ერები ჯერ კიდევ ჯოგებად დადიოდნენ ტყეში. მაინც სხვა თანამედროვე დონის თარგმანი, რომლითაც ჩვენი წინაპრები თარგმნიდნენ. თუ ფირდოუსი ოცდათხუთმეტი წელი ლექსავდა პროზაული „ხვადაი ნამაკს“, ასევე ოცდათხუთმეტი წელი მოანდომა სპარსული ტექსტის პოეტურად გადმოწვენებას ბელა შალვაშვილმა. და დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს მრავალი, ანუ ცხრა, ტომი გენიალური ქმნილებისა.

ამრიგად, ერთი მხრივ, გმირული შემოქმედებითი შრომა ავტორისა, მეორე მხრივ, გმირული შემოქმედებითი შემართება მთარგმნელისა.

ერთი მხრივ, მსოფლიოში ყველაზე დიდი პოემა, რომელიც ერთი ავტორის ხელიდანაა გამოსული; მეორე მხრივ, ამ პოემის ერთადერთი სრული ქართული ტექსტი, რომელიც ერთმა მთარგმნელმა შეასრულა.

მარადიული წიგნი საქართველოში დააბიჯებს.

მურმან თავდიშვილი



თინათინ ჭყვია

ხილვაები

ზღვა იდგა, როგორც აქვამარინი ნაპირი იყო თოვლის. ეს ხილვა იყო... მე, ცა ვიყავი და დავყურებდი შორით... ხელისკიდებას კი მოვასწრებდი, მითხრეს ყოფილა ბროლი... ვატყობ, ხილვები დამაბერებენ და ნატვრებს მოჰყავთ თოვლი, მე ჩემი თავით კმაყოფილი ვარ. ვარ, უპირველეს ყოვლის.

მახსოვს

მახსოვს მთანმინდა იისფერ თოვლით, გვექონდა კამათი, გაგრძელდა ჩხუბით, მტკვარი კი ლურჯად მოკვალავდა თრიალეთის მთებს და სილურჯეში, როგორც სარკეში იყურებოდნენ მთები ვერცხლისფრად... ერთად ჩამოვცდით საბაგიროს, ეს კარგად მახსოვს, ხოლო, გალას ხიდს მიუყვებოდი უკვე კენტად და მარტო... გადავიწიე ხიდზე, სულ ოდნავ, რომ ჩამხვებდა და მტკვრის სილურჯეს აერეკლა ყელზე მოხვეული თავსაფარი თეთრი... და უცებ ქარმა, მოვარდნილმა თეატრის მხრიდან, ამიფრიალა და წამართვა ზედ ხიდზე, მე ის სითეთრე... საიდან გაჩნდი ან როგორ მოხდა, რომ ხიდის ბოლოს, უკვე ჭადრებთან, შენ მოდიოდი ხელში თეთრი თავსაფრით და აქ დავზავდი... გავიდა დრო და მივიწყებული დიდი სალამო თურმე, განმეორებდას დაექვემდებარა, რაში დასჭირდა არსთა გამრიგეს, ზუსტად იანვარს, ოღონდ უთოვლოს და შენ კი, თეთრი თავსაფრის გარეშე შუა ხიდიდან ჩემსკენ მომავალი, ოღონდ ვერცხლებით ხუჭუჭა თემბში გამომცხადებოდი... და იყო ორიათას ოცდაოთხი წლის იანვრის ორი... გასული იყო, ციფრებით, სულ რაღაც, ხუთი და ნოლი.

ლეკსი-ფოტობრაფია

ო, ნითელი კამელია ზამთრის დარდი, თოვლი ბარდნის, თოვლი ბარდნის... ეს ხე ასე საოცარი ახსოვს არვის, ახსოვს არვის, თოვლში მარტო დგას და ყვავის, დიას, მხოლოდ თოვლში ყვავის... და ბალიდან მოჰყავთ ბალდი, ზუსტად ამ ხნის, ზუსტად ამ ხნის... მამამ დარგო, რომ ახარეს გოგოაო და შესრულდა კამელია გუშინ სამის. ბავშვი უცებ, მისკენ გარბის, თოვლი ბარდნის, თოვლი ბარდნის, თეთრ თოვლში კი ნითლად ფეთქავს

კამელია, ზამთრის დარდი... და პატარა გოგოს დედის დიდი სევდა შეფარული, თეთრ თოვლს ნითლად გამოაჩნდა გულში ჩუმად შემალული... ხე კი ყვავის, ყვავის, ყვავის... თოვლიც ბარდნის, ბარდნის, ბარდნის... და პატარა გოგო მისკენ, გარბის, გარბის.

სავლიანი იუმორისა

მითხრეს, სახლ-კარს ყიდიანო, მაგრამ მივხვდი — შემეშალა, ამიტომაც გამოვედი ჩემი ნებით, ცოტა ჩქარა... არც ვინ იყო ხელის მხლები. ხეზე ესხა უთვალავი ხეჭეჭური, მეფე-მსხლები... კაცმა ქუდი მოიხადა, გადაისვა ხუჭუჭ თემბზე მძიმე ხელი, ამ ყველაფერს ხომ ხედავთ? ნუ დამძრახავთ, მე აქედან მხოლოდ ხელით გამიტანთ... თქვენ კი, ისე ლამაზი ხართ, დარჩით, სხვას ვერ მოინონებთ, ისევ მე თუ ამიტანთ.

დავიპაღე ათას ცხრაას...

მოვდიოდი, მოვდიოდი, მოვდიოდი... შუა გზაში ეტლს გაუტყდა ბორბალი. გადმოვჯექი ემადინზე, იყო შორი... გზის იქით და გზის აქეთაც, უსასრულო ზღვად ღელავდა ხორბალი. ემადინი ვერ ფარავდა გრძელ მანძილებს და გავყიდე... აღმასის თვლით ბეჭედი, ისევ ეტლი ვიქირავე ქუთაისს, შენსკენ მოვიჩქაროდი და გეძებდი. რისთვის ვკეცე, რისთვის ვკეცე შორი გზები, თუკი ველარ მოგისწრებდი, ვბერდები... მოვედი და ქართს ვუტყე ცხრაკლიტული, მოვიარე გოლოვინის პროსპექტი... თქვა მეტლემ, ვისაც ეძებთ ქალბატონო, აღარ არის გაფრინდაო, რა გრჯიდათ... და მაჩვენა, აქ იყო, ზუსტად აქო, პოდა, იქ კი, ცის ბლონდებში, ვილაც ქალი ხელს გვიქნევდა ფანჯრიდან. ხომ მოვედი და მეგონა აქ იდექი, შენს სახლსა და მტკვრის მარცხენა ნაპირთან, ქართს ვუტყე ცხრაკლიტული მარტის ბოლოს... შენ კი, თურმე... შენ კი თურმე ურცხვი ქარი... მთანმინდაზე ტყემლის ყვავილს გაყრიდა.

*** მზე ნაბრძანდა ვარსკვლავები ცვივა ციდან... ორი თეთრი მეტეორი ტყუპად ჩემსკენ გამოფრინდა, — უკაცრავად, რამე გინდათ? თუ რამეა მე აქ ვზივარ, რისი უნდა მეშინოდეს? თქვენ კი, ასე როგორ ქრისხართ? სად მოდიხართ? ცას ჯობია დედამინა? თუ პირიქით? ეჰ! რა გითხრათ? მე კი, უკვე ველარ ვიტან... გული ბევრჯერ გამიტყდა და დამიჯერეთ... ცა ჯობია, ცა ჯობია დედამინას.. ეს ასეა, კი ასეა! დედას ვფიცავ! დედას ვფიცავ!

ბიბინებს მოლი

რამდენიმე სიტყვა გია ხოფერიას ახალ პოეტურ კრებულზე



გია ხოფერია ნაცნობი სახელი და გვარია არა მხოლოდ ს ა ლ ი ტ - ე რ ა ტ უ რ ო წ რ ი ს ა თ ვ ი ს . ის ქუთაისში მოღვაწეობს: აკაკი წერეთლის

სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია. მრავალმხრივია მისი შემოქმედებითი არეალი: გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული: „მოდო, გენაცვალე“ (1992), „აიმიანო“ (1994), „ანა კარენინა და ბები-აჩემი“ (2003), „მესამე მსოფლიო ომი“ (2005), მის კალამს ეკუთვნის „კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (სამ ნაწილად), „ტექსტოლოგიური ნარკვევები“; მომზადებული აქვს ლექციების კურსი: „ტექსტოლოგიის ძირითადი საკითხები“; გამოცემული აქვს ლექსების წიგნი - „ჭიდილი“, ხოლო ახლახან გამოცემულ პოეტურ კრებულს „წყალდიდობა“ დაარქვა. სათაურებშივე შეინიშნება პოეტის ორიგინალური ხედვა. თუ პირველ კრებულში ლექსთან შეჭიდებას ცდილობდა, მეორეში იგრძნობა ავტორის სულის დაუდგრომლობა, რომელიც ადიდებულ მდინარესავით მიინეწვს მკითხველისაკენ. ავტორი ერთგან წუხს: „სხვისთვის წვიმა არასდროს მითხოვია თუმცა ჩემი ყოველთვის მეჩხერი იყო ეს წყალნაკლულობაც მალე დაშრება და საკუთარ სიამაყეს შევეწირები თუ ამას შენირვა ჰქვია“. მაგრამ პოეტის წვიმა კი არ დაშრა, პირიქით წყალნაკლულობა წყალდიდობად აქცია ავტორმა. სხვა ლექსებში ნაზი სიო ქარად გარდიქმნება და კიდევ უკეთ ნარმოაჩენს მოზღვავებულ ენერგიას: „ბრუნავს ქარი ჩემს კარებთან, მწვანე ქარი ბრუნავს, ვიცი მალე შემოლენავს ჩემს პატარა ბუნავს“. ერთგან ამასაც დაწერს: „და მომხეტქა ქარის ზარებმა შემოტყევი გულისწამლები“. თითქმის ყველა პოეტის შემოქმედებაში გვხვდება სამშობლოს თემა. გამონაკლისი არც გია ხოფერიაა. მისი ტკივილი სამშობლოს ბედზე დაუცხრომელია.სამყაროში, რომელშიც ღმერთის გზა დავინწყებული და თითქმის უგულვებელყოფილიცაა, მტრებისგან დაზაფრული ჩვენი ქვეყანა აწყვეტილი ღილივით გვეკარგება. „ღმერთი დადის ღრუბლებს ზემოთ ღიმილით. ვინ კითხულობს ღმერთის ნაწერ გაზაფხულს?! ისევ ვკარგავთ შეწყვეტილი ღილივით

საქართველოს მტრებისაგან დაზაფრულს“. ეს მწუხარე განწყობილება და წუხილი სხვა ლექსებშიც გადადის, ჩვენი ძლიერი მუხა ფულუროდ რომ გადაქცეულა ავტორის გული და-ნაღვლიანებულია, მაგრამ იმედსაც არ კარგავს, გამოფხიზლებისაკენ მოგვიწოდებს, რომ ჩვენი ტკბილი სიმღერა კვლავ ისმოდეს: „ისე დასჭექე, ლუხუმო, აწყდეს შენს სიზმარს ურდული, ერთმანეთს თვალში ვუყუროთ ტკბილი სიმღერა დუდუნით სამშობლო როა ფულურო, გული მაქვს გამოზურდული“. სამშობლოს თემა, მისი მდგომარეობა ტერიტორიული ერთიანობა ან დაქსასულობა ყოველთვის დაკავშირებულია იქ მცხოვრებ საზოგადოებასთან. საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის გამო პოეტი არ ერიდება ქართული საზოგადოების კრიტიკას. მისი შეფასებით, ჩვენი ცოდვებით ისეთი დამძიმებულნი ვართ, მიწაზე ჩამოსული ღმერთიც კი ვერ გაგვიძლებდა. „ნასესხებ სისხლით ცხოვრობს ქვეყანა, ავი სენიც ხომ ბევრი ვისესხეთ, მიწად რომ ღმერთი ჩამოგვეყვანა ავეცემბოდით ჯაჭვად კისერზე“. სამართლიანობის მოყვარული პოეტი სამყაროს ნიღბის ჩამოხსნისკენ მოუწოდებს, რომ ყველაფერს თავის სახელი დაერქვას: „ნუთუ ქვეყანა ერთხელ მაინც პირს ვერ დაიბანს - მწვანემ შეხედოს, რაც ყალბია და იჭვნეული“. კრებულში ცალკე თავად არის გამოყოფილი ლირიკული პოემები: „ალაგ-ალაგ ამოჭრილი სიზმარი(ანტიპოეზია)“, „ჭიდილი“, „კორიდა“, „ეს ვინ ოხერი დავბადებულვარ?!“ აღნიშნული პოემები საინტერესოა ვერსიფიკაციული თვალსაზრისით, სტრიქონებს შორის ხშირად გვხვდება ქალური, დაქტილური, ზედაქტილური რითმები, ხშირია დისონანსული რითმაც, ორიგინალურია პოემების სტრუქტურაც: სხვადასხვა სტრიქონი თითქმის სხვადასხვა ამბავს გვიამბობს, მაგრამ მთლიანობა მაინც შენარჩუნებულია. ალბათ, სიმბოლურია ისიც, რომ პოემების ციკლი მარადსაკაცობრიო სურვილით სრულდება: „აუსრულდება ნატვრა ღმერთის კეთილ გონებას-ხასხასა მინდორს ერთად მოძოვს ცხვარი და მგელი.“ აღნიშნული პოემები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ გია ხოფერია ნამდვილად ორიგინალური ხედვის შემოქმედი და თავისი ნიშა აქვს. . გია ხოფერია, ნოდარ დუმბაძის სახელობისა და „საგურამოს“ პრემიების ლაურეატი, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ვიმედოვნებთ, მისი „წყალდიდობაც“ ლამაზ ნაკადულად შეუერთდება ქართული ლირიკის მძლავრ მდინარეს.

სოფიკო ჭუმბურიძე



აპოლონ ადონია

უკანასკნელი ჰანგები შვებით ცის ბინულოვით გადმოიღვრება, ცა გაიხსნება თავისი ნებით და შეირხევა გედის სიმღერა. არყოფნისაკენ გზის გაგნებაში რომ მომეშველონ შენი თვალები და სიყვარულის მზიურ გზნებაში ნელ-ნელა ჩუმად დავიავლები. დამეფარება პირზე დუმილი, გზა გათავდება გაუხარელი: მერე ნამოვა ძალი ყმუილით და შორეული ვინმე გამვლელი დამმარხავს, ხის ქვეშ დაჯდება დინჯად, გახსნის გაცრეცილ სამგზავრო ჩანთას, გახედავს ყოფნა-არყოფნის მიჯნას, განსჯის გულწრფელად ცრუსა და მართალს. დააკვირდება ნაგრძობს და ნანერს, ჩემს გამოტანჯულ ყოფნას მისაგნებს, სურათს და ლექსებს ობისგან განწმენდს გამოაგზავნის თბილისისაკენ... დიდება გზას და ცის ერთგულებას, დიდება იმ მგზავრს, სიკეთით საესეს, და შეითხზვება ჩემზეც თქმულება, დავიწყებიდან ამოვალ ასე...

1951წ

რაც ქვეყნად გავჩნდი, რაც მახსოვს თავი, უამრავ ლექსთა შევიცან ხვედრი; ჩემი ტკივილი სხვა იყო მაინც, ლექსებს მეც მუდამ ამიტომ ვწერდი. როცა შევხვებდი ჩემს პირველ მაისს, ჩემი ოცნების ნათელი მტრედი ლაჟვარდს სხვაგვარად არწევდა მაინც, ლექსებს მეც სწორედ ამიტომ ვწერდი. უთვალავ ტკივილს, უთვალავ ხალისს ანთებდა ყველა პოეტის ბედი, მე ვერცერთი ვერ მშველოდა მაინც, ლექსებს მეც მუდამ ამიტომ ვწერდი. ერისიონზე შემომდგარ აისს ხატავდა ყელი კოსმიურ გედის, გადარეული მღეროდა თვალი, ლექსებს მეც მუდამ ამიტომ ვწერდი. როცა სამყარო ამხელდა წყურვილს, რომ გავყოლოდი იმის გზას ქმედითს, — ვერ ეტეოდა სივრცეში სული, ლექსებს მეც მუდამ ამიტომ ვწერდი. მეცნიერების ცვარანებს იქით იდგა მორევი მთლიანი სევდის. მის ნაპირებზე მწენავდა ფიქრი, და ლექსებს მუდამ ამიტომ ვწერდი. მოჩანდა სახე მშობელთმშობელის ოკეანეში, — ხანძრით და ცეცხლით ღვიოდა მარად შესაცნობელი, ლექსებსაც მუდამ ამიტომ ვწერდი. შეუცნობელის კარებთან მდგარი ვგრძნობდი უხილავს და ბნელში ხედვით დაავადებულს მარბევდა ქარი, —

1960 წ

ლექსებს მეც მუდამ ამიტომ ვწერდი. მიყვარდა ქვეყნად სახე ყოველი, თვით უსახურიც, და იმათ გვერდით ვიდექი, მათი ხვედრის მგლოველი, — და ლექსებს მუდამ ამიტომ ვწერდი. რომ უმთავრესზე სდუმან ბაგენი, რომ აღარა ვარ ამაზე მეტი, — უკეთეს რამეს ვერ მივაგენი და ლექსებს სწორედ ამიტომ ვწერდი...

1963 წ

აქედან ვიცი, ვერავინ გეტყვის შენ ამ ბნელ ამბავს, შენახულს ობლად, იგი ყოველთვის დარჩება შენთვის ბრმა საიდუმლოდ და შეუცნობლად. მე ეს გულს მიკლავს — შენს გახსენებას და შენს მშვენიერებას შეეყურებ რწმენით. ვებრძვი შორეულ დღეთა ჩვენებას და ვინყველები დემონის ენით. მერე ავდგები, გავაღებ კარებს. შეურყეველი, როგორც მგრეველი. გადავევლები თოვლიან მხარეს ჩემს არსებაში ჩაუტეველი. სივრცეს გავყურებ გაუხარელი, შეუშინარი და უძინარი; ვამბობ, — ჯერ კიდევ სუსხი მფარველის და საიდუმლოს სული წინ არი! — გაყინულ ბლიკს მივსდევ და მივსდევ, მიმაქვს თოფი და სიტყვის საწერი; მიცდის მშობლიურ მდინარის პირზე თვალი ზეციდან ჩამონაცქერი. და მაინც შენზე ფიქრის ტკივილი ყველგან თან დამდევს როგორც მხლებელი, ვდგავარ ბურუსში, შენი ღიმილის და შენი მზერის განმსხვავებელი.

1952 წ

დრო ნელა გადის, სურვილი კვდება. აღარ მიმელის ჩემი თაობა! იმედად მაინც ორი რამ მრჩება, აუმღვრეველობა და მუშაობა. თუმცა რა ვიცი, ხვალ რა იქნება, გამთენიისას იქნებ გავთავადე... მე მაინც ძალმიძს ნათელ ფიქრებად გულს სიკეთის ხმა წარმიმართავდეს. სანამ ვარ, ხომ ვარ! ვიცი და მჯერა უცოდველის გზის გულდაჯერებით: კოსმიურობის უმთავრეს მწვერვალს ისეთი წმინდა უკრთის ფერები, — რომ ყველაზე ღრმა უფსკრულიდანაც თუ გსურს, შეიძლებ შეავლო თვალი... რადგან მწვერვალი იგი მთლიანად სადაც კაცი დგას, ის მიწა არის.

1956 წ

ისევ გავენდე გულით მთანმინდას, ვიარე დიდხანს, ვიარე ნელა. ცა უსასრულო გზნებად მანვიმდა, მიწა მივლენდა მიწიერ ლეღვას. მიხმობდა ქუჩა, მიხმობდნენ ხენი. ჩემივე გული მიხმობდა გარეთ. მზე დადიოდა მიწაზე ღვინით და შეჭხაროდა გახელილ თვალებს. გარდაუვალი ნათლის მფრქვეველი მიმზერდა დროში ჩაკირულ სტუმარს და რალაც სახელდაურქმეველი დამატარებდა ქუჩაში ჩუმად.

1960 წ

თამარ ბურნაძე

ღვთიურო!

მამულო, შენი ცა სიცოცხლედ მეყოფა!.. არა მსურს მე სხვისი ნანატრი სამოთხე!.. ღვთიურო, უფლისგან რჩეულად შობილო, ამ გულის სიღრმეში ხატად დაგასვენე და მხოლოდ მე შენი ტრფობითა ვსაზრდოობ!..

ნატავი ვინა ხარ?

ჭკუას რომ მარიგენ, ნეტავი ვინა ხარ? რაც უნდა ეცადო, შოთა ვერ გახდები... საბა ვერ იქნები... ვერ მოჰბან ჩემსავით ჩემს მამულს დაუთვლელ ჭრილობებს, ვერც ითამარებ და ვერცა იდავითებ!..

ცაო!

რა უცნაურად მოჟამულხარ, ცაო, განრისხებული დამზერ დედამინას. ჭქვა-ქუხილით ნაიღე ყურთასმენა. მზის დანახვის ნატრული ხომ გამხადე, მთვარის ხილვას მაინც ნულა დამამადლი! ის ხომ ყოველთა ჯავრიანთა შემწყალეა, მათ შორის ჩემიც. ჰოდა, დროზე ჩამოხსენი პირბადე, თორემ ლამისაა გულისპირი ამგლიჯოს დარდმა. არ გაჭრა შენთან ვედრებამ ჩემმა, რატომღაც არ გსურს ჩემი მოსმენა... რა უცხვირპირო ვინმე ყოფილხარ!

მაოცა

მტრედისფერ ცის ტატნობს იმედით შეჭხარი, გეთვლება თუმცადა ყოველი საათი... სხვისი უბედურება ნიადაგ გადარდებს, საკუთარ ტკივილზე არც დაგირვილია... ცხოვრების ქარცეცხლში ხარ გამობრძმედილი... შენ ამორძალი ხარ - დაუმარცხებელი!.. შევნატრი შენეულ შინაგან ბუნებას! შევნატრი დღეს მე შენს სულიერ სიმტკიცეს!.. მაოცებ... სიცოცხლის ელექსირს დაგარქმევ!

რჩეული ღვთისა

მადლობა უფალს, მუზად მენვიე ყაყაროს ფერად სამოსში მყოფი, ლურჯთვალა იის სადარო გოგოვ, ყარყარა ვარდის სურნელფრქვეული... ნაზი და მშვიდი, როგორც ნიაფი - ცით მონაბერი... უმნიკვლო, წმინდა ვითარც ანკარა წყაროა მთისა... მოკრძალებული და უკარება, ფერთა ატმისა ყვავილისა ბაგეთა შენთა...

შენ კვლავ ისეთი სამოსი გმოსავს, როგორც შეშვენის შენს სიქალწულეს... აი, ისეთი, ვაჟკაცს რომ ეთქვას, ნეტავ როგორი ქალი მზიანობს მკერდშეკინძულ სამოსის მიღმა?

შენ უნდა გერქვას ხატია, ცისი... ან ანგელოზი - რჩეული ღვთისა...

ნამო!

ნამო, მოხუცი მოვინახულოთ, უსინათლოა ორთავ თვალითა... ა, იმ ხეიბარს გვერდში დავუდგეთ, სიცვისაგან თრთის და კანკალებს, მშიერ-მწყურვალნი... მკერდში ჩავიკრათ პატარა ბიჭი, უღირსი დედის მიტოვებული და მას ალერსით სული ავუვსოთ...

რაში გჭირდება ფუჭი დიდება, ან მკერდზე მედალ-ზანზალაკები?

ნამო, დავლაშქრობთ ტაო-კლარჯეთი, ტაძრის გუმბათზე ვრეკოთ ზარები და მთელ სამყაროს გავაგებინოთ, რომ ღირს სიცოცხლედ იესოს რჯულის საგალობელი!..

უნდა გახსოვდეს, ერთობაშია მხოლოდ ჩვენი ხსნა და რომ „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“.

ნატავა

ისე დამჯაბნა ჟამთა სიავემ, რომ ჩემი თავი ველარ მიცვნი. ველარც შენ მიცნობ თეთრად დათოვლილს... გული ჩამწყდება, წყაროსთან როცა უბრად ჩამივლი...

მსურს, ჩემი სოფლის მწვანე ჭალებში, გრძნობით გალობდეს კვლავაც ბულბული და იმ ყარყარა ვარდების კოკობს, სულ მცირედ მაინც ისევ ვმსგავსობდე... მაგრამ ყოველი არის სიზმარი და ოცნება აუხდენელი...

ვერ დავენიე ყმანვილქალობას, მთელი სისწრაფით ისე გარბოდა...

უნდა შევიძლო

აქეთ ფრიალო კლდე მესაზღვრება, იქით - ნისლეული ღურღუმეობა. ველარც მზეს ვხედავ დღეს შორიზონტზე... სულ მიტირის და მენალვლება...

განა რამდენი დამრჩა სავალი, მაგრამ როგორმე უნდა შევიძლო. ნავალ და ვივლი, მთებს გადავივლი, ზღვას გადავცურავ, ზეცას მოვივლი... იქნებ გზად ვინმე გადამიყაროს, იყოს სიკეთის მადლით მოსილი, რომ დიდი დარდი გავუზიარო.

შენ? შენი თავისთვის არსებობ მხოლოდ, სხვას როგორ სტკივა არ გენალვლება.

არ მოკვდე, გულო!


რატომ დაგხანჯლეს ასე უღმერთოდ, გულო, ჩვეულო თმენისა ჭირთა? შენ ხომ სიძულვილს არცა დროს მოყვრობ და მეგზური ხარ სიყვარულისა... სადაც ვარდები დათესე, ვნუხვარ, ყველგან ეკალი ამოდის, ხარობს... ნეტავ, რას გერჩის ბედის მწერალი? მოყვასთა სიყვარულისთვის რატომ დაგწყევლა?

იქნებ, მკურნალი გველინოს ოდეს, გამუდარები, არ მოკვდე, გულო!

მერე?

სიკვდილის შიშით გამონვეული ბავშვების თვალგაფართოებული მზერა... უსახლკაროდ დარჩენილი, შიმშილითა და სიცივით სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი მოხუცები,, ავტომატით ჩაცხრილული სიცოცხლემოწყურებული ახალგაზრდები... დაბომბილი ქალაქები და სოფლები... გადამწვარ-გადაბუგული ქვეყნები... სულის შემძვრელი და შემზარავია ყოველი!

სადაა სამართალი? სადა ხარ ამ დროს, უზენაესო?! რას ფიქრობ, ნეტავ? რატომ არ შეველი შენსავე შობილთ? გემუდარები, დროზე შეამეცნე მათ მათ სიცოცხლის ფასი, ნუ გაუხანგრძლივებ გამოცდის ვადას, თორემ სადაცაა სისხლის მორევში ჩაიკარგება შენივე ხელით სამოთხედ შექმნილი მთელი სამყარო. მერე?..



გივი კიკილაშვილი - 90

90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მთარგმნელი გივი ირაკლის ძე კიკილაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გივი!

ჩვენო საყვარელო კოლეგა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 90 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

ეს სამოცი წელი ქართული მწერლობის, ქართული ხელოვნების, საქართველოს უშინკვლო და უზადო მსახურის სამოცი წელია. თქვენი მთარგმნელობითი მოღვაწეობა ერთი მშვენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ირგებოდა მწერლობის ამ ურთულეს ფანჯარაზე შექმნილი შემოქმედება, რა ფაქტორები უნდა არჩევდეს სათარგმნელად ისეთ მწერლებს და ნაწარმოებებს, რომლებიც მის მშობულ ერს სწორი ორიენტირების მოქმედებას დაეხმარება.

თქვენი პირველი თარგმანი - საბავშვო მწერლობის კლასიკოსის - იტალიელი ჯანი როდარის დიდებული ზღაპარი „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“ იყო, რომელმაც მაშინვე დაივიწყა ქართველი ბავშვების წიგნის თარგმნა. მას შემდეგ არაერთი ჩინებული თარგმანი გახსარებულა: რედია-არდ კილინგის „რიკი-ტიკი-ტავი“, იური ტომინის „ჯადოქარი დადის ქალაქში“, ალექსანდრე სიტინის „ტიანშანის კონტრამანდისტები, რუმინული, იაპონური, რუსული, ბელორუსული ზღაპრები - აი, ის წიგნები, რის გამოც ასე უყვარხართ ქართველ ბავშვებს.

მართლაც რომ დიდი ღვაწლი უნდოდა რუსული მწერლობის ისეთი დიდოსტატების ქართულად ამტკიცებლას, როგორიც იყვნენ თეოდორ დოსტოევსკი, ანდრეი პლატონოვი და მიხაილ ბულგაკოვი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კოლოსალური ენერჯია შეაღებეთ ისეთი საეტაპო ნაწარმოებების თარგმნას, როგორიცაა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, „იდიოტი“, „ავსულნი“, „აბაქანკეშეთის ჩანაწერები“, „დანაშაული და სასჯელი“, „უპოვარნი“, „პლატონოვის „ჩეჩენელები“, „ჯანი“, „ქვაბული“, მოთხრობების კრებულები „ჯადოსნური ბეჭედი“, „ამ მშვენიერსა და უღმობელ წუთისოფელში“, „იგლისის თავსხმა“, „მზის მემკვიდრე“, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, „თეთრი გვარდია“, „თეატრალური რომანი“, „ძაღვის გული“, „მოლიერის ცხოვრება“, „მორთი“, „ემშაკეულნი“, „საბედისწერო კვერცხი...“მათ გარდა თარგმნეთ ჯონ სტაინბექის „ქრიზანთემები“, ნიკოლაი პერდიავის „თეთრი კვლელობის შესახებ“, ბორის პასტერნაკის „წერილები ქართველ მეგობრებს“, ალენ კარის „სიგარეტის გადაადგმის იოლი გზა“.

თქვენს მიერ განვლილმა სამწერლო ცხოვრებამ ყველას დაგვანახა თქვენივე მწერლობის ძალ-მოსილება, სტილის ალლო, ადრეკატორი ინტონაციების მოძებნის უნარი, ისიც, თუ რა მშვენივრად შესძელით უცხო ენობრივი მიმოხვრანის ქართულ ხატოვან სისტემაში გადმოტანა...


სადაც კი მოღვაწეთ, იქნებოდა ეს გამოცემლობა „ნაკადული“, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ თუ ქართული ენციკლოპედიის რედაქცია, ყველგან ქართული მწერლობისა და ხელოვნების განვითარებასა და წინსვლას ემსახურებოდით, ყველგან პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძობით გამოირჩეოდით...

თქვენი მრავალწლიანი მთარგმნელობითი საქმიანობა დიდი ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა.

ბატონო გივი!

კიდევ ერთხელ საყვარელი გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ივანე ჯავახიძე - 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ივანე ნოეს ძე ჯავახიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ივანე!

ჩვენო საყვარელო თანამოკალმე! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ქართული მწერლობისა და სულიერების ერთგულ ქომაცას და მეცნიერებს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს. მრავალმხრივია და მრავალნაწილია თქვენი ინტერესები სფერო. ერთნაირი გატაცებით ემსახურებით ქართულ მწერლობას, მეცნიერებას, სპორტს და სულსა და გულს სდებთ მათ წინსვლასა და განვითარებაში.

ფასდუდებელია თქვენი წვლილი ქართული მწერლობის წინსვლასა და პოპულარიზაციაში. ათწლეულების განმავლობაში თქვენი დაუღალავი და ფასეული მოღვაწეობა საქართველოს რადიოში სწორედ ქართული მწერლობის წინაშე მდგარი პრობლემების გაშუქებას უკავშირდებოდა. თქვენს გადაცემას ხომ სათაურიც სიმბოლური ჰქონდა - „ჩვენი საგანძური“. თქვენი საუკეთესო გადაცემები დაცულია საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ოქროს ფონდში. სწორედ თქვენი ძალისხმევით შეიქმნა ისეთი საგულსხმო სატელევიზიო და რადიოპროგრამები, როგორცაა „ირაო“, „ამერიკური“, „საქართველოს სოფლები“, „დილის ირაო“, „ამ შაბათ-კვირას“, „თბილისის ისტორია“...

თქვენს კალამს ეკუთვნის დიდი ქართული მწერლის ლეგენდარული მიძღვნილი წიგნი „საქართველოს დედოფარი“, აგრეთვე მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ტარიელ საყვარელიძე“. ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ ჟურნალ „ახელისა“ და ამავე სახელწოდების საზოგადოებისა...

მწელია აუღლებელია ვისაუბროთ თქვენს ღვაწლზე ქართული ალბინიზმის ისტორიის შესახებ. თქვენს ღვაწლზე ლარიზაციის საქმეში. სწორედ თქვენ შემოუნახეთ საქართველოს ქართული მთავსელოლობის საუკუნოვანი მართლება. ყოველივე ეს აისახა სატელევიზიო ფილმებში და ისეთ ენციკლოპედიურ ხასიათის წიგნებში, როგორცაა „მედიკალინური ენციკლოპედია“, „საბჭოთა ალბინიზმის სახელოვანი წარმომადგენლები“, „ქართული სპორტის ოქროს წიგნი“. თქვენმა სატელევიზიო ფილმმა „სუ-ალტო“, რომელიც ლეგენდარულ ქართველ მთავსელო მისილ ხერცხანს მიუძღვნით, მთისაღმომიძღვნილი ფილმების მენ-საერთაშორისო ფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი მოიპოვა. 2008 წლის ლიტერატურულ კონკურსში თქვენმა ოქრომწველი მთავსელო პირველი ადგილი დაიკავა. არ არის შემთხვევითი, რომ სხვადასხვა დროს იყავით ალიოშა ჯავახიძის სახელობის საქართველოს ალბური კლუბის დირექტორი, მთავსელოთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პრეზიდენტი სტეფანი და პრეს-სპიკერი.

ამავე დროს ხომ უბრწყინვალესი გეოლოგი ბრძანდებოდა, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. რაოდენ დიდია თქვენი წვლილი უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ცვეთის თავიდან აცილებისა და დავით გარეჯის მიდამოებში უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენის - ძველი ნაქალაქარის მეტალოურგული ნარმოების კვებისათვის რკინის საბადოს აღმოჩენასა და მისი ავტოქტონურობის დადგენაში. მოგვიანებით იმავე უფლისციხეში აღმოჩნეთ 20-25 მილიონი წლის წინანდელი უნიკალური მცენარეული ნაშთების ნამარხი, რაც თქვენი დისერტაციის თემად იქცა, რომელიც სტრატეგოგრაფია-პალეონტოლოგიაში პირველი იყო ევროპაში. ეს მონოგრაფიული გამოკვლევა („ალბონის სახელობის საქართველოს ადრემიოცენური ფლორა“) ცალკე წიგნადაც გამოქვა.

ნაციონალური საზოგადო მოღვაწე ხართ. არჩეული ხართ ჟურნალისტთა კავშირის, გეოლოგიური და გეოგრაფიული საზოგადოებების წევრად. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორად.

მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის რაინდის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო დიპლომი, დავით აღმაშენებლის და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. არჩეული ხართ ჭიათურის საპატიო მოქალაქედ.

ბატონო ივანე!

თქვენი მაღალმოსილი კეთილშობილება და სამშობლოსათვის ღვაწლი დაუოკებელი სურვილი სამაგალითოა თქვენი მეგობრებისათვის.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს უფრო სამსახურში გათვრებულ ერისკაცს, დღეგრძელობას და მზებრძოლობას გისურვებთ თქვენი საესავი მამულის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნანა რევაზიშვილი (ნინო მარიამიშვილი) - 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნანა ვლადიმერის ასული რევაზიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ნანა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან შენაირი საქართველოში სამართლიანობისა და სამართლის დამკვიდრებას. თქვენ დიდხანს მუშაობდით პროკურატურის ორგანოებში მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ენეოდით სამეცნიერო მოღვაწეობას, მონოგრაფიისათვის „პროკურატურის ორგანიზაცია და კონცეპტუალური საკითხები“ მონიჭებული გაქვთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება, სამართალმცოდნეობაში კითხულობდით ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ერთ-ერთი ავტორი ხართ სახელმძღვანელოში, რომელსაც „საპროკურორიო სამართალი“ ჰქვია.

ჩვენ კი ის გვახარებს, რომ ასეთი მკაცრი პროფესიის ადამიანი, ამავე დროს, უფაქიზესი სულის მქონე შემოქმედია, რომელსაც ძალუხს უსწრავსადაც მოიპოვოს საპროკურორი მანტია და გარდაიქმნას ჭეშმარიტ პოეტად თუ პროზაიკოსად და მკითხველი მისი სულის კაბადონებს აზიაროს.

თქვენი პირველი ლექსი „რად აგვიანებ“ 1977 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები („ციდან მოსული სასწაულები“, „მინც თენდება“, „დუმილის ნიჭი“, „იელი-სის შუადღე“, „ქალის შუადღე“, „ერთი ცრემლით მეტი ვარ“, „მუზე და თემიდა“, „რა დამრჩენია ბერეჯერ უთქმელი“) ქართველი მკითხველის აღიარებითა და მონიჭებით სარგებლობს. ამ აღიარების უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ გულწრფელი და უშუალოა თქვენი ლექსი, თქვენი პოეზია, მოხიბვლელი ექსპრესიულობით და პოეტური აზროვნების სადა, თავისთავადი სტილითა და ლაკონურობით რომ გამოირჩევა.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი მისი საესავი ქვეყნის ლაყვარდებსაც მისწვდომია, მტკივნეულზე მტკივნეული დარტყმებიც მიუღია, მაგრამ არ გაბოროტებულა და არ უღალატა სათნოებისა და სიყვარულის წმინდა იდეალებისთვის... სტკივა შუაზე გაყოფილი სამშობლოს დაჩხილი და დანაწევრებული სხეული, კუპრისფერი მარტოობის უმთავროდამეხება შეფარებული, თუმცა ისიც მტკიცედ სწამს, რომ საქართველო თავის შვილებს იმედით შეისხამს ფრთებზე და ისე აზიარებს სიკეთისა და პატიოსნების მაღლს. დი-ახაც რომ ყოველსემძლე და შეუძლია სამშობლოში უღალატესი გაზაფხული მოაბრძანოს ეტლით...

მნიშვნელოვნად გვესახება თქვენი პროზაც, რომელმაც დაივიწყა ისეთი წიგნებში, როგორცაა „შეკვეთილი მკვლელობა“, „რაინდული ნაბიჯები“, „პოლიტატიმრის სიმართლე“...

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ბულგარულ, თურქულ, ინგლისურ, რუსულ, ესპანურ ენებზე.

არჩეული ხართ საქართველოს ეროვნული აკადემიის, „ფაზისის“ აკადემიისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრად, იყავით დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი და ასოცირებული პროფესორი. მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება.

ქალბატონო ნანა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნელი ბატიაშვილი - 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი ნელი მიხეილის ასული ბატიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო ნელი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1967 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობა „ლეგატო, ლეგატო“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - მოთხრობები, ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, კინოსცენარები ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ ჩინებული პროზაიკოსი ხართ. არაა შემთხვევითი, რომ ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს პროზაულ ტექსტებს (რომანი „დინება“, მოთხრობების კრებულები „ხვალ აღარ იქნება თოვლი“, „გამჭოლი ქარი“, „შენსკენ მომავალი“) ამ კრებულებში დაივიწყა თქვენმა მრავალწლიანმა ფიქრმა ჩვენს სამყაროზე, იმ მარადიულად სისხლმდინარე იარებზე, რაც ასე მტკივნეულად აღიქმება თითოეული ჩვენგანის მიერ. ამ ტექსტებში ხომ დიდი ადამიანური ვნებანი და ტკივილები ბოპოქობენ. ადამიანური გაუტანლობა, შური, ვერაგობა, პირფერობა, ფარისევლობა - აი, რას ებრძვიან თქვენი პერსონაჟები, უპირველესად კი მათ სულელები ჩაბუტებულ მანკიერებას ებრძვიან და ხშირად გამარჯვებულნი გამოდიან ამ შერკინებულად...

რა მშვენიერი პოეტი ხართ. თქვენი პოეტური კრებულები „სიკვდილზე წამსვლელმა იცის“ და „აქ და ახლა“ გვიბილავს სინრფელითა და სინაზით, როლებსაც ზოგჯერ მებრძოლი ამორძალის მკვეთრი შეძახილიც ერევა. პროფესიით მუსიკოსი ბრძანდებით და სწორედ მუსიკალურობა გამოკრთის თქვენი ჩინებული პოეზიიდან, რომელიც სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის მოვლენილი ადამიანის სულიერი ღალადისა, რომელიც უამთასვლას უმონყალოდ გაუთელავს, მაგრამ ვერ ჩაუკლავს მასში ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობა.

საყურადღებოა თქვენი წერილები დოღო ჭუმბურიძის, ოტია პაჭკორიას, ვაჟა გიგაშვილის და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე. წლების განმავლობაში მუშაობდით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სცენარისტად, მუსიკალური სკოლის პედაგოგად და ყველგან სათნოებისა და სიკეთის განსახიერებლად გვევლინებოდით.

ქალბატონო ნელი!

თქვენი მრავალწლიანი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართული მწერლობის კლასიკოსის ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიით აღინიშნა. გვახარებს ისიც, რომ სულ ახლახან მოგენიჭათ თამარ მეფის ენდალმა და ჯვარი.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნათელა გოხელაშვილი

ცოტნეიღელი (სოსო სიგუას)

ბევრს აუხილე თვალი, ბევრში სიბნელე მოსპე, ქვეყანა გიმზერს კაცს და ვით გველემპის მომრევს. ყველგან სიკეთის მთესველს, გზად უფლის ნება გხვდება, წიგნებად კინძავ დროჟამს, აზრი მოღელავს ზერებად. ცოტნეიღელი კოლხი სულს ბერავ მართალ კალამს, ქართული დროშით ხელში თავისუფლებას ქარგავ. შენ გაგიმარჯოს, ვითარც მარად სიკეთის მთესველს, ახალგაზრდობა გიმზერს, ვით კარგი ამბის მეკვლეს.

გიორგი ტულუში

მა უკვე მოვკვდი

უდაბნოებში რა ფუჭად და უღმრთოდ მიცდია, შენ არ მოხვედი, დამავინწყდი, უდაბნოს გამირო, მე ხომ ყოველი აღმავრენა, რაც განმიცდია, გადავაცივე, აღარ დამრჩა საქმე საგმირო. უკვე შუადღეც მიიღია უემოციოდ, ჩემივე სული მერამდენედ ზვარაკად ვნირო?! ისევ არ ჩანხარ, კიდევ ერთხელ რომ მომიცილო ახლაც მზადა ხარ, აღარ მერგო კუთვნილი, მნირო! დიდხანს ვეძებდი სამშობლოს და ვერსად ვიპოვე, ალბათ წილად მხვდა საქართველო ლექსებში შევთხზა, ეს თეთნულდიც და ალაზანიც ასე სასიზმროდ გაგიჩენია, ნალვლიანო, დევნილო ეზრავ! მე უკვე მოვკვდი და ჯალათი შიშიც კი კრთება, როცა უყურებს შიშებშივე შობილ მელექსეს, ჰე, საქართველოვ, მერამდენედ უნდა მიმილო, მერე განმაგდო, ვერ მოვაჯდე უხედნავ მერანს!

თამარ ტყაბლაძე

ღედას

შენ მომავლინე დიდი ტკივილით, გიხაროდა და თანაც მიცქერდი, ბევრი ვიტირე მე ამ მოვლენით და ლამეებიც გათენებინე, ახლა კი მიცქერ და გიხარია, რომ შენს გვერდით ვარ, მე შენ მიყვარხარ, ჩემო დედიკო, და მეყვარები მთელი ცხოვრება.



ელისო ქიტიაშვილი

ნომრის სტუმარი

ადამიანი ყოველთვის ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო და იქნება ადამიანისათვის. დღეს დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ადამიანი თავისი მრავალმხრივი და ამოუცნობი ბუნებით კვლავ მნიშვნელოვანი და უპირველესი საზრუნავია, რადგან თავად დემოკრატიული საზოგადოება ხომ თითოეული ინდივიდის კეთილდღეობასა და სამართლიანობას ეფუძნება. დემოკრატიას თითო-ორი ადამიანი ვერ ქმნიან. ყველა, საზოგადოების თითოეული წევრი უნდა აცნობიერებდეს ამის აუცილებლობას და თავად საზოგადოებაც უნდა იყოს დაინტერესებული და ზრუნავდეს ამისათვის, გულისხმიერებითა და თანაგრძნობით ეკიდებოდეს სხვის ტკივილს და გაჭირვებას. ამ ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე იმდენად მღელვარე ისტორიული კატაკლიზმების მოწმენი გახდით, რომ თითქოს ღირებულებათა გადაფასებას გადავყალბეთ ადამიანი, ადამიანი თავისი ტკივილით, ფიქრით, ოცნებით... ადამიანი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, მაგრამ ახლოს მისვლის შემდეგ საოცრად ინდივიდუალური, გამორჩეული შინაგანი ბუნებით. ყოველდღიურ ფუსფუსსა და წვრილმან ყოფით პრობლემათა გადაწყვეტაში თითქოს ერთგვარად გულგრილები გავხდით სხვისი ტკივილის მიმართ, გვაინწყდება ჩვენს გვერდით მყოფი მოყვასი. არადა, რამდენი საინტერესო ადამიანი ირგვლივ. მხოლოდ სურვილია საჭირო, რომ დაინახო, აღმოაჩინო და შეაფასო...

ასეთი აღმოჩენა იყო ჩემთვის ქალბატონი ელისო ქიტიაშვილი. სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ შეხვედრებზე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და მასთან ურთიერთობის შემდეგ მუდამ სურვილი მქონდა უფრო მეტი შემეტიყო მის შესახებ. საბედნიეროდ არიან ადამიანები, რომლებიც ჩუმიად, უხმაუროდ, რუდუნებით ემსახურებიან მათზე დაკისრებულ საქმეს და არ ითხოვენ არც ქება-დიდებას და არც ჯილდოებს. თითოეულმა ჩვენგანმა რომ შეძლოს, იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში და აკეთოს საქმე პროფესიონალიზმით, ალბათ ჩვენი ქვეყნის მომავალი ასე ბუნდოვანი აღარ იქნება.

დღეს მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველს უფრო ახლოდან გავაცნო ქალბატონი ელისო ქიტიაშვილი.

- ქალბატონო ელისო, ვიცნობთ თქვენს შემოქმედებას, ხშირად ვხვდებით თქვენს ლექსებს, რომლებიც მკითხველთა გულწრფელ მონონებას იმსახურებს. ორიოდე სიტყვით თქვენი შემოქმედების შესახებ გვიამბეთ.

- დიდი მადლობა დაინტერესებისათვის. ჩემი პირველი წიგნი „სანთელი“ 1999 წელს გამოიცა. მეორე წიგნი „სამშობლო ჩემო!“ გამოიცა 2003 წელს. ამას მოჰყვა ლექსების კრებული „მეგობრობა და მშვიდობა გვინდა“ 2007 წელს. სულ ახლახანს

კიდევ ერთი კრებულის გამოცემა შევძელი. ასევე ვიბეჭდები სხვადასხვა პერიოდულ პრესაში. ჩემი ლექსები თარგმნილია რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, იტალიურ ენებზე. სასიხარულოა, როდესაც შენი შემოქმედებით კომპოზიტორები ინტერესდებიან და სიმღერებს წერენ შენს ლექსებზე. სწორედ ასეთი ორი კრებული გამოვიდა - „სასიმღერო ლექსები“ (2001 წ.) და „ელისო ქიტიაშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერები“ (2001 წ.).

- ქალბატონო ელისო, ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ჩვენ რეალობასა და ჩვენს გარშემო არსებულ პრობლემებზე. ვიცი, რომ თქვენ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეებით.

რაც შეეხება ჩემს სამეცნიერო შრომებს, 2005 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობაში დაიბეჭდა „აშშ-ში ქართული დიასპორის შესწავლის საკითხები“, სადაც საუბარია ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ჩვენს სახელოვან ქართველებსა და მათ ღვანლზე აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობების მოგვარების და დაახლოების საქმეში.

დავუბრუნდეთ პოეზიას. ლექსს უნდა წერდეს გული და გონება. თუ გული და გონება გრძნობით არ არის შეკრული, არაფერი გამოვა. ლექსის წერა მე დამაწყებინა ჩემი ხალხის, სამშობლოს სიყვარულმა, სიმართლის სიყვარულმა, ღმერთის სიყვარულმა. პოეზია ის სამყაროა, რომელიც ოცნებას მოიცავს, ხელს უწყობს მრავალი ფიქრისა და აზრის დინებას, ღრმად იჭრება სინამდვილის სფეროში. პოეტისათვის პოეზია არის ვალი სამშობლოს, ადამიანობის, სინდისის წინაშე. პოეტმა ყოველმხრივ და თანმიმდევრულად უნდა გახსნას ამა თუ იმ მდგომარეობის არსი, მოქმედებათა ვითარება, გამოსახოს სულიერი მოძრაობა, ვნებები, წარმოდგენები, პასუხობდეს ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ის უნდა ხედავდეს თავისი ერის ტკივილს, მის წინაშე მდგარ პრობლემათა მოგვარებასა და მოწესრიგებაზე უნდა ფიქრობდეს.

- ქალბატონო ელისო, ჩვენი და ჩვენი გაზეთის მკითხველთა სახელით გვსურს, დაბადების 70 წელი და მარკა ბარათაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატობა მოგილოცოთ, დღეგრძელობა და მზეგრძელობა გისურვოთ. ჩვენს მკითხველს კი თქვენს რამდენიმე ლექსს შევთავაზებთ.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

გაზაფხულდა

წყარო მოდის, მოჩუხჩუხებს სუფთა, ცივი, ანკარა, რწყავს, რომ მოვლის ტოლუპთ, ურთხმელთ, გულგახსნილი, ნარნარა.

მაღალ მთიდან მორაკაკებს, მთის ერთგული შვილია, ლალად დის და მოსარსარებს, დის, ხევზუვი შლილია.

დაეშვება ბარში, ველზე და სიცოცხლეს გვახარებს, მთლად შეღერავს ყვავილთ ნერგებს, ვარდის კოკრებს აბანებს.

გაზაფხულდა, გაზაფხულდა, სითბომ დაისადგურა, ვაზს აუხდა ნატვრა სრულად, იხმობს ყვავილთ სამყურა.

დაგელოცოს, გაზაფხულო, შენი მზე და ბუნება და ველოდოთ, კვლავ გვაჩუქო ბედნიერი გუნება.

სინათლე

როცა სინათლე იფრქვევა, კაცი გზას ხედავს მაშინა, გმობდა სიავე თვით ჩვენგანს, მაინც მან ვერ დაგვაშინა.

ვერ გმო სიავემ, თვით ბნელმა, თუნდ რწმენა, ვერც თვით შეგნება, ვეყრდნოთ სინათლეს, იმედად, უკლებლად ქვეყნის შენებად.

კიდევ და კიდევ გაიფრთეს, ბრწყინავდეს მისი ღირსება, თვით ზეცას კიბედ, სამიზნედ სინათლე ღვივის, ვით დედა.

მივდევთ გზად ათი მცნებისას, გვაქვს ეს კერკეტი მიზანი, „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

სურვილი

ო, როგორ მინდა, ვიქროლო, ქვეყნის ამბები ვაუწყო, ო, როგორ მინდა, ქვრივს, ობოლს, დღენი მწარენი დავუცხო.

ცივი წყარონი დიოდნენ, მიყვარს იმათი ცქერანი, თვით იადონი კვირობდეს, იმათი მალლით მღერანით.

შევუმსუბუქო ქრილობა ხეს ნაოხარს და ნაომარს, ძლევს უსულგულო პირობას ერთად ყოფნა და წყალობა.

ია ვარჩიე სურნელით დიდ, უღიმღამო ყვავილებს, მით განვარინე სულგრძელი, ვით ურჩი, ამ ბრომ ყამირებს.

დაე, აყვავდეს ქვეყანა, სიმართლე უღერდეს გაბმითა, დატკბეს, ამაღლდეს ყველგანა სიტყვა მძლე, შემწე საქმითა.

ძმობა, მეგობრობა


ძმობა და მეგობრობა ჩვენ რომ გვიცავს და გვაერთებს, გრძნობა და ერთმყოფობა გვაქვს, მხნედ რომ გვიფარავს ქართველებს.

ჩვენ სამეგობროდ გვივლია, გვწამს ნექტრის მტკიცე ძმობისა, ვერ დავემონოთ ლიბრიანს, ვართ მძლენი ისევ შრომითა.

წინად გვიკურთხე, ძლიერო, ჩვენი ძმობაა გმირობა, ვითარ ვიუნჯეთ, ვიჯეროთ, ვერგზით მოთანგავს ცილობა.

ვერ განგვემოროს დარდივით, განათდეს მისი დინება, ხელ, სამეგობროდ განვიღილი არასდროს გაგვიცივდება.

მოგონებები



მ რ ა ვ ა ლ - ნლიანი ნოსტალგია, სახლში დაბრუნების მ რ ა ვ ა ლ - ნლიანი იმედი, ბრძოლა არსებობისათვის და ახლობლების გადასარჩენად, წლები, რომელიც უნდა განვლო უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოში, შენი სურვილის საწინააღმდეგოდ...

იმედის მომცემი დაპირებების გარდა სხვა არაფერი გაღებულა ასეთი ადამიანებისათვის, რაც უიმედობის საოცარ უფსკრულს აჩენს, რომელშიც ჩავარდნის საშიშროება წლებთან ერთად გაიხლოვდება და მაინც იმედით ხარ, იქნებ მოასწრო, იქნებ ერთხელ მაინც შეავლო თვალი შენს ბუდეს, საიდანაც აფრინდი, გაფრინდი და ვინ იცის, ვინ სად შევაფარეთ თავი იმ ცივ ზამთარს, ომს, რომელიც კაცობრიობის უგუნურობის, ბოროტების ის ნაყოფია, რომელიც ყველას მომავალს გვართმევს, მაგრამ ესეც გამოცდაა, ვინ რას როგორ გაუძლებს და მართლაც ღირსეულად უძლებს ცხოვრების ამ გამოცდებს აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების დიდი ნაწილი, რისი საოცარი მაგალითებიც არიან ღირსეული ადამიანები მათი ცხოვრებით და მოღვაწეობით ამ კონფლიქტად წოდებული ომის შემდეგ.

ამ ადამიანების დიდ არმიას არ შეიძლება გულგრილი დაგტოვოს აფხაზეთიდან დევნილი სოხუმელი ექიმის გიგა თოლორდავას წიგნმა „აფხაზეთიდან დევნილი ექიმის მოგონებები“.

მომხიბვლელია და პატივისცემას იწვევს ავტორის სულიერი სიმდიდრე, პროფესიონალიზმი, მისი ქალაქის და ხალხის სიყვარული. ახალგაზრდა სპეციალისტს, ექიმ უროლოგს განათლება და ორდინატურა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში აქვს მიღებული, კარგად იცნობს იმ პერიოდს და შემდგომი განვითარების საჭიროებებს.

აფხაზეთი ყველა ქართველის ის ტკივილია, რომელსაც ვერც წლები გვაკინებებს და ვერც შემდგომ პერიოდში უკეთესად ან უარესად გატარებული დღეები, ეს ის ჯადოსნური კუნძულია ჩვენთვის დედამიწაზე, რომელიც სხვადასხვა ეროვნების და სარწმუნოების მოსახლეობას ისე აერთიანებდა მის ნალკოტში, რომ მიუხედავად უმძიმესი დღეების მოგონებებისა, ხელოვნურად შექმნილი აფხაზურ-ქართული კონფლიქტისა, სიძულვილის მაინც არ დაუსადგურებია მის მოსახლეობში, რომელიც ამ წიგნის ავტორის მონათხრობშიც იკვეთება და თითოეული ჩვენთაგანის მოგონებების წითელი ხაზია, მნიშვნელოვანია ასეთი მოგონებების და განცდილის აღწერა, ანალიზი, სინამდ-

ვილის სწორად აღქმა, სწორედ ასეთი მოგონებების განხილვით და გაანალიზებით მიეცემა მომავალ თაობებს საშუალება სწორი დასკვნების გამოტანის, რასაც ჩვენი თაობა თავს არიდებს.

მინდა, საბერძნეთის მაგალითი მოგიყვანოთ. დღე არ გავა, 100 წლისწინანდელი ლტოლვილების განსაცდელი არ გაიხსენონ, როგორ დაძლიეს და მოუარეს მილიონ ლტოლვილს, რომლებიც დღეს საბერძნეთის მოსახლეობის ნამყვანი ძალაა, ცხოვრების დიდი გამოცდილებით და ეკონომიურად გაძლიერებულნი. ეს იმ სწორი პოლიტიკის ნაყოფია, რასაც ჩვენთან ყურადღებას წლებია არ აქცევენ.

ავტორი წერს: „სამშობლოდან შორს ყოფნის გამო ნოსტალგია მომეძალა. რაც დრო გადის, არა თუ მავინყდება, არამედ უფრო მკვეთრად მახსოვს იქ გატარებული თითოეული დღე, განსაკუთრებით, აფხაზეთის ომის ტრაგიკული პერიოდები, რამაც თითოეულ ჩვენგანს წარუშლელი კვალი დაამჩნია.“



სწორედ ამიტომ მინდა, ჩემს თანამემამულეებს კიდევ ერთხელ გავახსენო 1991-93 წლის მოვლენები...“

თავის ქალაქზე უზომოდ შეყვარებული ავტორი ასე აღწერს ქალაქს: „ქალაქი სოხუმი ისევე, როგორც სხვა ქალაქები და სოფლები, ჩემს წარმოდგენაში, მუდმივად უღრუბლო ცასთან, ლურჯ ზღვასთან, მცხუნვარე მზესთან, მაცოცხლებელ, ხანმოკლე ნვიმასთან, ციტრუსთა და სუბტროპიკული მცენარეებით მორთულ მშვენიერ მიწასთან ასოცირდება. აქ მეგობრულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების და სარწმუნოების, ერთმანეთის მოყვარული და პატივისცემი ადამიანები.“

ასეთი წარმოდგენის მქონე ნიჭიერი ახალგაზრდა ექიმი, ფეხბურთელი, რომელსაც მეგობრობა აკავშირებდა ქალაქის ყველა ეროვნების მოქალაქეებთან, ვერ შეძლებდა მტრობას, ჭკვიანი და წინდახედული ადამიანი ვერ გახდებოდა იმ სიძულვილის პროპაგანდის მსხვერპლი, რასაც გვიქადაგებდნენ.

უმძიმეს სურათს გვიხატავს მოგონებების ავტორი ომის წლებში დატრიალებულ უბედურებაზე და მედიცინის მუშაკთა გმირობაზე - „იმ პერიოდში სინათლე ღამითაც ქრებოდა, იყო ელექტროენერჯის დიდი დეფიციტი, სწორედ ამიტომ, რკინიგზელებმა ტუტის აკუმულიატორები გადმოგვცეს, რომელსაც ტრადიციულად ვაგონებში იყენებდნენ ხოლმე. ამ აკუმულიატორების მეშვეობით ვანათებდით სამ საოპერაციო მაგიდას, ასევე შეგვეძლო პორტატული რენდგენოაპარატის ამუშავებაც“.

აი, კიდევ რას იხსენებს ექიმი: „ჯარისკაცებისათვის საკვების ნაკლებობამ ჩვენი საავადმყოფოს მესაფლავე ჯარისკაცს, აქვე ჰოსპიტალის ტერიტორიაზე, ბოსტნეულის პატარა

სახელდახელო ბაღის გაშენება აფიქრებინა. მან სიმინდის თესლის, კიტრის და პამიდორის ნერგების მოტანა მთხოვა. სოხუმის ბაზარი ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა. მართლაც ვიყიდე, რაც დამავალა, თან წინილებიც მივაყოლე, თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ამ ჩანაფიქრმა გაამართლა, მოსავალიც კარგი მიიღეს, წინილებიც დაზარდეთ... ასე ჯარისკაცებს და მათთან ერთად ჩვენც ერთხანს საზრდოც მოგვემატა“. ავტორი დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებს, ქალაქის რჩეული ექიმების მოღვაწეობას ამ ომში და მათი გმირობის მაგალითებს.

ყოველივე ამის შემდეგ „გოლგოთის გზის“ (ასე იხსენიებენ კოდორის უღელტეხილზე, ჭუბერზე გამავალ გზას) გავლაც დასჭირდა მოგონებების ავტორს. თითოეულ ჩვენგანში ეს ურთულესი გზა, ფიზიკური და ასევე მორალური თვალსაზრისითაც, სხვადასხვა განცდებს აღძრავს, ყველაფერი ხდებოდა ამ მძიმე გზაზე, რასაც ავტორი ასე აღწერს: „სექტემბრის ბოლო დღეები იდგა და ალპური ზონა თოვლით იყო დაფარული, მიუხედავად იმისა, რომ იყო მზიანი ამინდი, ქროდა ცივი, გამჭოლი ქარი, რომელიც ისედაც დაღლილ-დაქანცულ და დატანჯულ ხალხს ძვალსა და რბილში ატანდა. გზადაგზა მხედებოდა ყინვისაგან გარდაცვლილი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ახლობლები დასტიროდნენ და შიშველი ხელებით უთხრდნენ სახელდახელოდ საფლავს გაყინულ მიწაში“.

ასე ახასიათებს ფილოლოგიის დოქტორი ნანა კუპრეიშვილი მოგონებების ავტორს: „წიგნი გვიდასტურებს იმას, რომ არ მოხდა ის, რაც ალბათ ამ უბედურების შემომქმედთ ყველაზე მეტად გაახარებდა - გაბოროტება, სიკეთისადმი რწმენის დაკარგვა, გულგრილობასა და ეგოიზმზე დაყრდნობა. ამიტომაც „აფხაზეთიდან დევნილი ექიმის მოგონებები“, რომელიც მასში აღწერილი მოვლენებიდან ორ ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ დაინერა, ნათლად ჩანს, რომ გიგა თოლორდავას მომხდარის არც ჯანსაღი ანალიზის უნარი და არც აფხაზთა ძველი სიყვარული დაუკარგავს, მას ნამდვილად სწამს, რომ ზიზლსა და მიუღებლობაზე გონიერება გაიმარჯვებს“.

ამ ყველაფრის შემდეგ, დევნილების თანადგომა, ახალი გზების პოვნა, ევროპული ცხოვრების რელსებზე გადასვლა, დიდი გამოცდილებით გამდიდრებული ყოფა, ხელოვნებაში გადატანილი განცდები და სიყვარული, მისი წარსული, რომელთანაც ტრიალებს ყველა ფორმაში, მის შემოქმედებას უფრო სრულყოფილს და მიმზიდველს ხდის.

წარმატებები და სოხუმში დაბრუნება ამ საუკეთესო მოქალაქეს.

შორენა შენგელია
ათენი. 2024 წ.

მამია ობოლაძე

სერაფიმერა

თეთრი ღამის საფარში, მთვარე ცეცხლით ნაფარში, თითქოს არსის ნაკადში გაქრა არსის აზრები! ჯოჯოხეთის წლებიან სულნი აღარ კვდებიან, აღარ გაისმებიან აღარასდროს ზარები! ტბა ისეთი კამკამა, თეთრი ალით ლაპლაპა ტყის სიღრმეში ჩაფლულა მათათა გარემოცვაში! სიოც კი არ აწუხებს არც ტბას, არც მთას, არც ხეებს! კიდევ ასეთს ინატრებს გული ღამის ლოცვაში! ამოუცნობ ჰანგებად თითქოს სევდა აღდგა, რაღაც უცხო ნათება სულს ამაღლებს და ლოცავს! სიფრიფანა ლანდებად მოსჩანს ღამის ზმანება, შეუცნობი ღვთაებმა სულს იზიდავს და ტოკავს! დაასრულე უდაბნო უსასრულო ზღაპარო, ჩემი ლურჯი სამყარო მასთან არაფერია! ისე აღმამფრენია ვერ წარმომიდგენია ეს თუ თეთრი ცეცხლია აქ ხომ ყველა ფერია! თითქოს ცეცხლი ცოცხლობდეს, მთვარის შუქზე ქრთებოდეს, ჰაერში ნავარდობდეს ღვთაებრივ გრძნებებით! თითქოს ცეცხლი ცეკვავდეს, არე მარეს ყინავდეს, მთვარის ზვირთებს სცურავდეს ზღაპრულ საოცრებებით! ზღაპრულ საოცრებების უსასრულო ფერებით მოკაშკაშე დღეები ერთ ნამში ჩაატია! ნალმა დაატრიალა სულის ორომტრიალი, მისი ერთი ფრიალი ფიქრმა ვერ დაიტია! მისი ხილვის სიამე მე ვერაფრით ვინამე, ემპირეა ვით ღამე მომეჩვენა პატარა! უსაზღვრობის საზღვარი, სულზე ნაზი სიზმარი, ზეცის თბილი ზამთარი ლანდად გადამატარა! ამას ვინ დაიჯერებს, ამას როგორ ვიმღერებ, როგორ შევქმნი სიმღერებს ვინმეს რომ დავაჯერო... ნეტავ ზეცამ გამანდოს, საიდუმლო მომანდოს, ლურჯი შუქით ამანთოს რომ ცა გადავაჯერო! საღვრთო გარემოცვაში, წმინდა შუქის ლოცვაში, დაადნო ჩემს ხოცვაში მისი მომსწრე ქიმერა! მზად ვარ სული ძლიერი, როგორც ალიგიერი, რომ მიყვარდეს ციერი ჩემი სერაფიმერა!



თემურ ცერცვაძე - 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი თემურ ნოდარის ძე ცერცვაძე-ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო თემურ!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი თანამოქალაქმენი გულმხურვალედ მოგესალმებიან შესანიშნავ, მრავალნახნაგოვან მწერალს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 60 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავს.

თქვენ ქართველ პოეტთა იმ გუნდს განეკუთვნებით, რომელიც სამწერლო სარბიელზე წინარე საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ერთგული დარჩა წმინდა ილია მართლის სამებისა, ქართული პოეზიის იმ მაგისტრალური ხაზისა, რომლის თანახმადაც ქართველი შემოქმედი, თუ ის ნამდვილად ჭეშმარიტი შემოქმედი, პირველ რიგში მშობელი ხალხის მსახურია, მისი სანუკვარი მისწრაფებებისა და სანატრიონის გამომხატველი...

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1979 წელს გადადგით, როცა თქვენი ლექსები ჩვენი საყვარელი ჯანსუღ ჩარკვიანის კურთხევით დაიბეჭდა. მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევი. თქვენი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა გულთბილად მიიღო თქვენი პოეტური კრებულები („მარადიული ლტოლვა“, „მეორე სიცოცხლე“, „გვირგვინოსანი“). სწორედ ამ კრებულებში დაივანა თქვენმა ორიგინალურმა, უაღრესად ტევადმა, სამოქალაქო პათოსით უხვად გაჯერებულმა პოეზიამ, რომელიც თემატური მრავალფეროვნებით, სახეობრივი აზროვნების უნარით, თავისთავადობით, სიკეთისა და პატიოსნების იდეალების ერთგულებით გამოირჩევა.

თქვენი პოეზიის ლირიკულ გმირს სევდა მოსძალებია, სევდა იმის გამო, რომ იკარგება რაღაც დიდზე დიადი საიდუმლო ჩვენი პლანეტის არსებობისა და, ალბათ, ამიტომაც გამეფებულა დღისით - მზისით შიშისმომგვრელი, შემზარავი წყვილი, გული სტკივა იმის შემყურეს, როგორ ემსგავსება ჩვენი ცხოვრება ერთ დიდ სპექტაკლს და ფასს უკარგავს ყველაფერს, რითაც ვსულდგმულობდით, რითაც თავი გაგვქონდა. საუკუნეების უღრანებში ხეტილისას, ნაძირალებით გარშემორტყმული მიათრევს უღვთო ცხოვრების უღელს და ისე უახლოვდება სინათლის კუნძულს, ჩვენი გადარჩენის ერთადერთ შანსს, ამიტომაც ცდილობს ნიღბები ჩამოხსნას ყველა ქვეგამხედვარსა და მუცლითმეზღაპრეს, საქართველოს იავარქმნის ყველა მოსურნეს. ამ გაუთავებელ ომებსა და ტკივილებში იბადება და იწრთობა პოეტის სული, ამ ტკივილებში მის სულში მუდმივად იბადება არსთაგამრიგე თუნდაც მაშინ, როცა უკანასკნელი ფოთლის ცრემლის გაზიარებას ცდილობს. ერთი რამ კი კარგადა აქვს გააზრებული, რომ უამრავი ნაბოროციკების, დაცემის, მარცხის ფასად მოიპოვა ერთადერთი გამარჯვება, გამარჯვება საკუთარ თავთან. ვისაც მსგავსი გამარჯვების მოპოვება ძალუძს, მისი მომრევი აღარავინ არის. ისიც კარგად იცის, რომ თოვლის ფიფქით მოვლენილი ამქვეყნად თოვლის ფიფქითვე გაქრება და ეს უძლიერებს სევდასა და დარდს.

სიყვარულის პოეტი ხართ და კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს დიდი გრძნობა ისე უნდა ამოიფრქვეოდეს თითოეული ჩვენგანის სულიდან, როგორც მზე ამოიტყორცნება ხოლმე ზღვის ქაფიდან...

საყურადღებო წიგნებად მიგვარჩნია თქვენი პროზაული კრებულები „გვირგვინოსანი ანუ ხელოვნება შუქების ანთებისა“ და „ჰორიზონტის მხატვრები“...

საყურადღებო წერილები მიუძღვენიტ გალაკტიონ ტაბიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, მურმან ლებანიძის, მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებას...

დააარსეთ ჯგუფი „XXI საუკუნის ქართული პოეზია“ და ამ ჯგუფის 5 კრებული გამოეცით („რჩეული ლექსები“, „სატრფიალო ლირიკა“, „სამოქალაქო, რელიგიური და პატრიოტული ლექსები“, „XXI საუკუნის ქართული პოეზია“ - ორ ტომად).

არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების იდეის ავტორი და ორგანიზატორი ხართ, ისეთებისა, როგორიცაა „მუზების ვალსი“, „ერთი პოეტის ბენეფისი“, „ერთი წიგნის აუქციონი“... ეწეოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას საშუალო სკოლებში, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და გამოსცემდით გაზეთებს („პატარა უფლისწული“ და „სილაში ვარდი“, „ხმა ერისა“) და ჟურნალებს („თავისუფალი თემა“, „მოდელი“).

დაჯილდოებული ხართ აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიებით.

ბატონო თემურ!

გვახარებს, რომ სულ ახლახან მზის სინათლე იხილა თქვენმა რჩეული ლექსების კრებულმა „გულისგულიდან გულისგულამდე“.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს თქვენი საესავიო სამშობლოს ტრუბადურს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ლევან ფანჩიძე - 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ლევან შოთას ძე ფანჩიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ლევან!

ჩვენო ერთგულო თანამოქალაქმე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ მეტად საინტერესო წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი სამწერლო კურთხევა 1988 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ნობათში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. თქვენი დებიუტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და პირველი ნაბიჯები მწერლობაში დაგილოცეს ისეთმა კოლორიტულმა შემოქმედებმა, როგორიცაა მუხრან მაჭავარიანი და ვახუშტი კოტეტიშვილი იყვნენ.

მას შემდეგ თქვენი ლიტერატურული ტექსტები-ლექსები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურული ძიებანი პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენმა პოეტურმა კრებულებმა („ფოთოლცვენა ტერენტი გრანელის ქუჩაზე“, „თიხის მზე“, „წვიმის სონატა“...) მყისვე მიიქცია ქართველი მკითხველის ყურადღება, რაც განპირობებული იყო გულწრფელობისა და მხატვრული აზროვნების მაღალი დონით, გამომხატველობითი ფორმების ძიებით, თავისთავადობითა და ორიგინალობისკენ სწრაფვის დაუოკებელი წყურვილით.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი საკუთარი ზმანებებისა და წარმოსახვების სამყაროში ცხოვრობს. იგი ხან ილია ჭავჭავაძეა, რომელსაც წინამართან უმოწყალოდ ცხრილავენ ბერბიჭაშვილები; ხან ბერი თევდორეა და უკვე მერამდენედ ურევს გზა-კვალს ყიზილბაშთა ურდოებს; ხან ნიკალაა და სასწაულებრივი ზეცით ქარგავს მშობელი ქვეყნის სანახებს; ხანაც - გალაკტიონი და მზის სხივებით აელვარებს თეთრ ოლარებს. უძნელდება ცხოვრება იქ, სადაც დანაშაულად ქცეულა სიმართლე, სიმართლედ კი - დანაშაული; სადაც ქართველს, არსაკიედ რომ არ გაიზარდოს, აკვანშივე აჭრიან მარჯვენას; სადაც ღამის მედლებივით ჩამოარიგონ უნამუსობა, ურვა, ქადილი, ბოროტება და ფარისევლობა, სადაც ეპოქას მაჯა აქვს გადაჭრილი და შავი შხამიანი სისხლი წამლავს და ბილწავს ქართულ მიწას. ასეთ დროს კი ერთადერთი კითხვა ანუხებს, ნეტა ამ ქვეყნად რისთვის მოვედი, რისთვის ან ვისთვის ვეგნე და ვენამეო. ასეთ დროს დაკარგულ ბავშვობას და დაკარგულ ქვეყანას დაეძებს და საკუთარი ცხოვრება გათელილ ყაყაჩოს აგონებს, შეჰყურებს ზეცას და ხედავს, თუ როგორ ავსებს ღამის ფულუროებს თხილისოდენა მძუჭტავი ვარსკვლავები ირმის ნაფხურებად რომ ამჩნია ცისკიდურს...

ჩინებულად თარგმნეთ სერგეი ესენინისა და მარინა ცვეტაევის ლექსები.

დაინტერესება გამოიწვია თქვენმა გამოკვლევამ „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფისა და დავით სოსლანის დაკვეთით შეიქმნა“.

წლების განმავლობაში იყავით ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის იმერეთის განყოფილების ხელმძღვანელი, გაზეთ „ასავალდასავალის“ განყოფილების რედაქტორი, გაზეთ „შანსის“ რედაქტორი, გაზეთების „ალიონისა“ და „არგუმენტის“, ჟურნალ „ადვოკატი და მართლმსაჯულების“ მთავარი რედაქტორი. თავმჯდომარეობდით საქართველოს აკაკი წერეთლის საზოგადოებას.

ბატონო ლევან!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედს, რომელსაც წინ არაერთი მწვერვალი აქვს დასალაშქრი, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ყველა სანატრიონის ასრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქვირფასო ნიკალა!

შენ კარგად იცი, რომ ჩვენი საყვარელი კოლეგა ხარ. ეს სიყვარული შენი მაღალი პროფესიონალიზმით, შენი მოქალაქეობრივი თავმდაბლობით, მწერლობისადმი შენი განუზომელი სიყვარულით, შენი კარგი ლექსით, კარგი პროზაული ჩანახატი და კარგი ფილმით არის გაპირობებული.

მწერალთა კავშირი საქველმოქმედო საზოგადოება არ არის და ჩვენ „ხელით ხელის ბანვის“ პრინციპით არ ვცხოვრობთ.

ყველას მივაგებთ იმას, რაც ეკუთვნის და რაც დაიმსახურა.

შენ სრულიად დამსახურებულად შენი ლიტერატურული საგზლით, რომელიც ჯერ იქნებ ხურჯინის მხლოდ ერთ მხარეს ავსებდეს, მიგიღეთ მწერალთა კავშირის ნევრად და მოგანიჭეთ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.

აქედან გამომდინარე, გითხრათ სიმართლე, შენს მეგობრებს (რომლებიც არასოდეს გილატებთ) გაგვიკვირდა შენი უნებლიე დაუნუნება;

მე ჩემი ჯანი მწერალთა კავშირს შევალე და მწერალთა კავშირის ნაცვლად სიგელს ვალიკო კაკაურიძე („მიმინო“) მაძლევსო.

საყვარელო ნიკალა, ვალიკო კაკაურიძე მწერალთა კავშირის ნაცვლად როგორ დაგაჯილდოვებს?!

მან, იქნებ, თავისი კეთილი გულით და იმ სიგელით რალაცისათვის მადლობა გადაგიხადა, მაგრამ ვალიკოს შემოქმედებით გაერთიანებას მწერალთა კავშირთან ნუ გააიგივებ.

შენ, ცნობილ რეჟისორს, ოპერატორს და ლიტერატორს ეს არ გეკადრება. სხვაგვარი, მშვიდობით ბრძანდებოდეთ და მწერალთა კავშირი კვლავაც დარჩება შენი გარჯის სათანადო დამფასებლად.

მწერალთა კავშირის პრესცენტრი

ბანცხადება

ძვირფასო მწერლებო! ამ წლის 15 ივნისს ტარდება საქართველოს მწერალთა კავშირის 26-ე ყრილობა. გთავაზობთ წესდებას.

ყრილობაზე მოსული დელეგატები დაიშვებიან მწერალთა კავშირის წიგნაკებით, მათ, ვისაც წიგნაკი დაკარგული აქვს, გთხოვთ, მოგემართოთ.

ყრილობაზე დასწრება სავალდებულოა.

მისამართი: დილომი, ბელიაშვილის ქ. 68. დავით სარალიძის სახელობის დარბაზი.

რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.



ნაირა შერმაშანაშვილი

სამუშაო

სანსკრიტზე წერილო კოლხიდა გადარჩება, ის იყო ზღვიდან ზღვამდე მეცხრე ცის მოტრფიალე. ზეობდა ქუთაისი წარმტაცი პალატებით, ლალატს დაუთრგუნავს მრისხანე აიეტი. გვკორტნიდნენ ყვავ-ყორნები, მრავალგზის გვესეოდნენ, მამულის ლეშად ქცევას

ლამობდნენ ბარბაროსნი. დრო-ჟამი ვიდოდა და გაბრწყინდა იბერია, ღვარცოფი წამოსულა უეცრად ცარგვალიდან, აზონი ცეცხლის ალში გახვია ფარნავაზმა, უშიშარ ცეცხლოვან გენს მოქიშპე მოუცვლავს. გამოხდა დრო და ხანი დაერქვა საქართველო და აღმაშენებელმა მტერს სისხლი ანთხევინა, დუშმანი აცახცახა ჯვრით ხელში თამარ მეფემ, განგებამ მოგვივლინა ღვთიური საოცრება. გვკორტნიდნენ ყვავ-ყორნები, მრავალგზის გვესეოდნენ, სამშობლოს ლესად ქცევას ლამობდნენ ბარბაროსნი. გიორგის სამშვილველი ბობოქრობს, ვერ ისვენებს, მუხლებზე დაცემული ლოცულობს ვარძიაში.



ვახტანგ გურამიშვილი

მოლოდინი გადარჩენის

შეიცვალა ეს ცხოვრება, თითქოს ლოცვა გახდა ძნელი და იმატა ავ გოდებამ, გადარჩენას მაინც ველით.

კვლავ შემცირდა მჭერ-მეტყველი, აღარ ვუსმენთ სახარებას, ბილწი გახდა გამკითხველი და ვაკლდებით გახარებას.

ყველას ჰქონდა სულში დარდი, ჩვენ ცოდვებით ვაგებთ პასუხს, თუ ოდებლაც ჩვენ გაუმწარდით, გავიხსენებთ ცოდვილ წარსულს.

მაინც ვრჩებით ხათრიანი, არ ვბაძვდით ჩვენ მტარვალებს, კაცი გვიყვარს მაღლიანი, ვინც კი ლოცვას დაგვაწვალებს.

წარსული ცოდვები

ვდგავარ საყდართან დაღონებული, წარსულ ცოდვებზე მიწვევს ფიქრები, მხოლოდ ღმერთში ვარ გოცებული, რადგან მტკიცეა მისი სიტყვები.

მე სიმარტოვეც მიწვევდა ქვეყნად, საკუთარ თავთან დავრჩი მდუმარე, მე გადამარჩენს სარწმუნოება, მე არ დავრჩები სულით მწუხარე.

და მაინც დულდა სისხლი ვენებში, მაინც ჩემშია მტკიცე გონება, მაინც მექნება ძალა ხელებში, თუმცა ცოდვები მემახსოვრება.

იმალი

მაშინ ვიქნები მე იღბლიანი, როცა მექნება სულის დიდება, ცხოვრებას ვუცქერ იმედიანი, ჩემი სულიც ხომ ასე მდიდრდება.

მე არ ვყოფილვარ არასდროს ხარბი, მე არ ვტრბახობ ბევრი ქონებით, მე შევიყვარე ყველა ღარიბი, პურიც ვურიგე მცირეოდენით.

მყარად დავდგები დედამინაზე, რწმენაც მექნება მე ისევ ჭარბად, როცა ვინამებ უფალს მინაზე, სიამტკბილობით ვიცხოვრებ მარად.

სსანება

თბილისს ამშვენებს თავის უბნები, დაუდგამს ფეხი მრავალ მეფესაც, აქ ხომ ისეთი არის ქუჩებიც, სადაც უმღერდნენ ქალ დედოფლებსაც.

დღეს კი ვლოცულობ მახათას მთაზე, სადაც ილიამ აგო ტაძრები, სიონს ვადიდებ ნარიყალაზე, მე მფარველობენ უფლის ხატები.

სანთელსაც ვუნთებ ათას მონამეს, ქრისტეს სახელით დიდ წამებულებს, მუდამ ვახსენებ მე მათ მონაშენს, სულით და ხორცილთ თავდადებულებს.

სიბერა

რომ მომადგება კარზე სიბერე, მეყოლებიან შვილიშვილები, მე გამახარებს მათი სიმხნევე, მინდა გავზარდო, როგორც გმირები.

მათაც ექნებათ უფლის წყალობა, სულიც ექნებათ წრფელი ქართული, არ მეზარება მათთვის გალობა, აღარ ექნებათ მახეც მაცდური.

მინდა დავლოცო მათი ცხოვრება, როცა ავიღებ ფიალას ხელში, მინდა, რომ ჰქონდეთ სუფთა გონება და გაიმართონ მუდმივად წელში.

იმალით აღსავსა

მე ჩემთვის ვაგებ ოცნების კოშკებს, რადგან მჭირდება სულის ცხოვნება, ჩემი სული ხომ ლოცვას მაგონებს, ახლაც ტკბილია ჩემი ცხოვრება.

თვალთ შევცქერი იმედით ხატებს, და არ მჭირდება ქება-დიდება, ახლაც ავაგებ ღვთისმშობლის ტაძრებს, რადგან სული ხომ ასე მდიდრდება.

მე კი ვიქნები ყოველთვის მარდი, არც ქონებაა ჩემი ოცნება, თუ გავაქარწყლე მე ჩემი დარდი, მაშინ ლოცვაში მიჭრის გონება.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გზები“ იუნყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი **გიორგი ბარქნიშვილი** და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გზები“ იუნყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი **ანლი ნაშინიშვილი** და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს

